

ფლორიან ზელერი

დედა

მთარგმნელი: ნანა სამკუაშვილი

2022

ფლორიან ზელერი

დედა

„დედა“ ფლორიან ზელერის ტრილოგიიდან („დედა“, „მამა“, „ვაჟიშვილი“) ერთ-ერთია. იგი ანას განცდებსა და ტკივილზე გვიყვება, რომელიც შვილების საცხოვრებლად ცალკე გადასვლის შემდეგ სრულ სიმარტოვეს გრძნობს. სიუჟეტი სწორხაზოვნად არ ვითარდება და მკითხველი/მაცურებელი მთავარ პერსონაჟს - არამყარი ფსიქიკის მქონე დედას - ფიქრების ლაბირინთში მიჰყვება. როდესაც ყველაფერს ოჯახისთვის გაიღებ, როგორ უნდა გააგრძელო ცხოვრება მას შემდეგ, როცა მისგან თითქმის აღარაფერია დარჩენილი? ანა მარტო დაბოროტად ნაცრისფერკედლებიან ბინაში და ტანჯვასა და შფოთვის ალკოჰოლითა და მედიკამენტებით იხშობს. მისი ყოველდღიურობა თითქოს ნისლშია გახვეული. განსხვავებული ასპექტებით წარმოდგენილ მსგავს სცენებს შორის მკითხველი/მაცურებელიც ამ ზედმეტად მგრძნობიარე ქალის სიზმრების, ოცნებებისა და წარმოსახვის აბსურდულ სამყაროში ხვდება და უკვე ძნელი გასარკვევია, რა არის რეალობა და რა - ფანტაზიის ნაყოფი.

მოქმედი პირნი:

დედა, ანა

მამა, პიერი

ვაჟიშვილი, ნიკოლა

გოგო, ელოდი

I აქტი

სცენა 1

დედა და მამა. ფონად ისმის მუსიკის ხმა, რომელიც ზრდადი დამაბულობისა და არასასიამოვნო კლიმატის მაუწყებელია.

დედა: აჰ, აქ ხარ?..

მამა: კი.

დედა: ცოტა დაგაგვიანდა.

მამა: ჰო, ცოტათი. ყველაფერი რიგზეა?

დედა: კი, კი. (პაუზა. თავიდან იწყებს საუბარს. დადანაშაულების გარეშე). სად იყავი?

მამა: რა?

დედა: შუადღით.

მამა: რას გულისხმობ?

დედა: სად იყავი?

მამა: რატომ მეკითხები?

დედა: დამაინტერესა. ეს არის და ეს.

პაუზა.

მამა: და შენ? დღემ როგორ ჩაიარა?

დედა: ისეთ კითხვას რატომ მისვამ, რაზეც პასუხი წინასწარ იცი?

მამა: იმიტომ, რომ მაინტერესებს.

დედა: გაინტერესებს?

მამა: კი.

დედა: კარგად იცი, რომ საშინლად უაზროდ გავატარე დღე.

მამა (მისი პასუხით გაკვირვებული): რა გჭირს? ანა...

დედა: არაფერი. უბრალოდ, ვცდილობ, მივხვდე, ამ როლს რატომ თამაშობ?

მამა: მე? რაზე ამბობ? რა როლს?

დედა: თითქოს მართლა გაინტერესებდეს.

მამა: კი, მაგრამ, არაფერს ვთამაშობ, ანა, რას იგონებ? ნამდვილად მაინტერესებს. თან, ძალიან.

დედა: იმის მიუხედავად, რომ ეს არც ისე საინტერესოა. მთელი დღე სახლში გავატარე. უსაქმოდ. მოლოდინში. (პაუზა. იგრძნობა, რომ ატმოსფერო უარესდება). შენ რას შვრები? შენი სემინარი ხვალ არის?

მამა: კი.

დედა: ანუ ხვალ მიემგზავრები?

მამა: კი, ხვალ დილით.

დედა: კარგია. კმაყოფილი ხარ?

მამა: ეს მხოლოდ და მხოლოდ სემინარია. (პაუზა). გაღიზიანებული მეჩვენები.

დედა: არა, ეს უბრალოდ... ნიკოლას გამო.

მამა: რა სჭირს?

დედა: კიდეც არ დაურეკავს.

მამა: და რატომ უნდა დაერეკა?

დედა: იმიტომ, რომ დედამისი ვარ. შეტყობინება გავუგზავნე, მაგრამ არ მპასუხობს, როგორც ყოველთვის. ვერ ვხვდები, რატომ არასდროს გვატყობინებს თავის ამბებს. ან რატომ არასდროს მოდის ჩემს სანახავად. არასდროს. ისე იქცევა, თითქოს აღარ ვარსებობდე.

მამა: დაკავებულია.

დედა: რით?

მამა: რა? რა ვიცი. ცხოვრებით.

ანა მხრებს იჩეჩს. პაუზა.

დედა: აბა?

მამა: რა, აბა?

დედა: სად იყავი?

მამა: რას ჰქვია, სად ვიყავი?

დედა: შუადღით.

მამა: ოფისში, ძვირფასო. რატომ მეკითხები?

დედა: ისე, უბრალოდ.

პაუზა. პიერი ანას გაურკვეველობისგან აღელვებული უყურებს.

მამა: რა გჭირს?

დედა: შენთან დავრეკე დღეს, ოფისში.

მამა: ჩემს ოფისში?

დედა: კი. (*პაუზა*). შენთან მინდოდა ლაპარაკი.

მამა: ჰო?

დედა: და მითხრეს, რომ იქ არ იყავი.

მამა: როდის?

დედა: შუადღით. მითხრეს, რომ იქ არ იყავი.

მამა: თათბირზე ვიყავი.

დედა: აჰ, აი, თურმე რა...

მამა: კი.

დედა: აჰა.

მამა: ჩემმა მდივანმა არ გითხრა?

პაუზა. ანა კითხვას უპასუხოდ ტოვებს.

დედა (ისევ ისეთი უწყინარი და მსუბუქი მანერით, თითქოს პირველად სვამს კითხვას): და შენ რას შვრები?

მამა: რა ვიცი...

დედა (*ისევ დაყინებული ტონის გარეშე*): დღეს, შუადღით სად იყავი?

მამა: რა? ხომ გითხარი, რომ ოფისში ვიყავი.

დედა: თათბირი გქონდა?

მამა: კი.

დედა: ხვალინდელი სემინარისტვის ემზადებოდი?

მამა: არა, ეგ არაფერ შუაშია.

დედა (*დაეჭვებული*): ვითომ? (*პაუზა*). ხვალ არის შენი სემინარი, ხომ?

მამა: უკვე მაღელვებ, ანა!

დედა: მე?

მამა: ჰო, სხვანაირი ხარ... არა, მართლა გეუბნები, ამ სადამოს ძალიან უცნაურად იქცევი.

დედა: არა... სრულებითაც არა. მაგას რატომ ამბობ? (*პაუზა. თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს*). მთელი დღე მარტომ გავატარე, მოწყენილობაში. სანამ შენ სასტუმროს პატარა ძუკნებთან ერთად ერთობოდი.

მამა (*თითქოს ვერ გაიგო*): ბოდიში?

დედა: რა?

მამა: რა თქვი?

დედა (*თითქოს არც არაფერი უთქვამს*): იმას ვამბობ, რომ დიდ სიცარიელეს ვგრძნობ.

მამა: ეგ შენი ბრალიც არის... არაფერს აკეთებ. არანაირი გატაცება არ განავითარე შენში. მუდმივად სახლში ზიხარ, უსაქმოდ. ჰოდა, ბუნებრივია... სამყარო მონოტონური გეჩვენება.

დედა: მაინც, რით შეიძლება ვიყო დაკავებული, შენი აზრით?

მამა: არ ვიცი.

დედა: აჰა, ხომ ხედავ.

პაუზა.

მამა: არაფრის ინტერესი არ გაქვს. მას შემდეგ, რაც ბავშვები ცალკე გადავიდნენ, რომ იტყვიან... მოკლედ, რაღაცით უნდა დაკავდე. ინტერესის საგანი უნდა გაგიჩნდეს. უნდა...

დედა: ჩემმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. სიმართლე ეს არის. ყველა რეისი გავუშვი.

მამა: რაზე ლაპარაკობ?

დედა: ადრე ბავშვები იყვნენ. მათზე ვზრუნავდი. შეიძლება ითქვას, რომ მათით ვიყავი დაკავებული. ისე, ორი ბავშვი დიდი არაფერია. უფრო სწორად, ორი... *სამი*, შენი ჩათვლით. იმიტომ, რომ შენზე ზრუნვითაც ვიყავი დაკავებული. და კიდევ, სახლის საქმეებით.

მამა: კი, მართალია.

დედა: ახლა კი ყველა წავიდა და სრულიად მარტო დავრჩი. ამხელა სახლში. აღარავის ვჭირდები. ტელეფონიც კი აღარ რეკავს...

მამა: ნუ აჭარბებ...

დედა: ის არასდროს მირეკავს. არასდროს. სარაზე მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ ის... ნიკოლა... ერთი ზარი მაინც... რომ მომიკითხოს. უბრალოდ, რა ვიცი, მისი ხმა რომ გავიგო. მთლიანად ამომშალა თავისი ცხოვრებიდან.

მამა: შეყვარებულია. ეს ნორმალურია...

ხანმოკლე პაუზა.

დედა (*თითქოს თავისთვის ლაპარაკობს*): სასტუმროს პატარა ძუკნებთან ერთად.

მამა: შენ... რა გემართება? ანა... კარგად ხარ? შენს თავს არ ჰგავხარ...

დედა (*უცებ სრულიად ნორმალური ტონით*): კი, მშვენივრად. და შენ? კარგად ჩაიარა დღემ?

მამა (*შეცბუნებული*): რა? ჰო.

დედა: შეხვედრაზე იყავი?

მამა: ამას რატომ აკეთებ?

დედა: რას ვაკეთებ?

მამა: ერთსა და იმავეს იმეორებ.

დედა: არ გქონდა თათბირი?

მამა: როგორ არა. უკვე გითხარი, რომ მქონდა, ერთი.

დედა: მხოლოდ ერთი?

მამა: კი.

დედა: და მერე? კარგად ჩაიარა? შეთანხმდით?

მამა: რა? კი.

დედა: მშვენიერია. მიხარია შენ გამო.

პაუზა.

მამა (*სიფრთხილით*): მაგრამ შენ...

დედა: ოჰ, მე რა, სახლში ვიყავი... ისეთი არაფერი გამიკეთებია. ცოტა მივალაგე. აჰ, როგორ არა, გავედი კიდეც... მაღაზიებში გავიარე. კაბა ვიყიდე. გინდა, გაჩვენო? ოღონდ არ მოგეწონება, შენს გემოვნებაში არ ჯდება. წითელია. ცოტა თამამი სტილია. ყველგან ვერ ჩაიცვამ, მხოლოდ - განსაკუთრებულ სიტუაციებში. აი, შენს დაკრძალვაზე ჩავიცვამ.

მამა: დალიე დღეს?

დედა: მე?

მამა: კი, შენ. დალიე?

დედა: არა, წვეთიც კი.

მამა: ნამდვილად?

დედა: კი. ასე რატომ მიყურებ?

მამა: უბრალოდ.

პაუზა.

დედა: ისე, ბავშვები არ უნდა გამეჩინა.

მამა: რა?

დედა: გეუბნები, ბავშვები არ უნდა გამეჩინა-მეთქი. მით უმეტეს, შენგან. ანუ იმის თქმა მინდა, საქმიანი კაცისგან, ვისაც თათბირები აქვს, სემინარებზე დადის.

მამა: ანა...

დედა: ასეა... ერთმანეთი რომ გავიცანით, რამდენი წლის ვიყავი, 22-ის? გულუბრყვილო ვიყავი, გამოუცდელი. საიდან უნდა მცოდნოდა?! 22 წლის ასაკში არავინ იცის, ეს ცხოვრება ერთი დიდი აბსურდი რომ არის, არავინ იცის. ამიტომ, ამას ადვილად აკეთებენ. მით უმეტეს, შენნაირი ტიპისგან - კარგად გამოიყურება, ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგში აქვს. მერე, დროთა განმავლობაში იძულებული ხდები, უფრო ღრმად ჩაეფლო ამ ჭაობში, სადაც კატასტროფის მასშტაბებს აღმოაჩენ. რაც უნდა იყოს, - და ამას კომპლიმენტისთვის არ გეუბნები, პიერ, - როგორც მამა, შენ ისეთი... უბადრუკი იყავი. მართლა. სულ მინდოდა შენთვის ამის თქმა.

მამა: მე?

დედა: კი. უბადრუკი. სამაგალითოს სრული ანტიპოდი. ყოველ შემთხვევაში, ნიკოლასთვის.

მამა: ამას რატომ ამბობ?

დედა: ნიკოლამ თვითონ მითხრა ეს. მითხრა, რომ მისთვის ყოველთვის იმის მაგალითი იყავი, როგორი არ უნდა ყოფილიყო თვითონ. ბუნებრივია, ის ხომ ხელოვანია. ისიც მითხრა, რომ მისთვის არშემდგარი ცხოვრების სინონიმი შენთან მსგავსებაა. რაღაც მხრივ, ვეთანხმები.

მამა: გესმის, რას მეუბნები? ანა... გესმის?

დედა: სარა, ის... კი, ბატონო, ის შეიძლება შენით ცოტა აღფრთოვანებულიც იყო. კი, დიდი ალბათობით. ასე, 9-10 წლამდე. მაგრამ ამის გამო ვერ ვუსაყვედურებთ. რაც

უნდა იყოს, მამამისი ხარ. თანაც, ის არც მთლად... არც ისეთი გონიერია, თუ ჩაუკვირდები.

მამა: ამას სარაზე ამბობ? შენს ქალიშვილზე ამბობ?

დედა: ოჰ, ასეთი შეცხადება რა საჭიროა... არასდროს არავისთვის ყოფილა საიდუმლო, რომ მე ყოველთვის ნიკოლა მერჩივანა... რა მოხდა, მერე?! სარა, რა ვიცი... (ისე ჩურჩულებს, თითქოს არ უნდა, რომ გააგებინოს). ანტიპათიურად მეჩვენება. შენ არა? მისი დაბადების მომენტიდან, სხვათა შორის. მაშინვე შევამჩნიე ეს. მის ფიზიკურ აღნაგობაში იგრძნობა რაღაც. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს გული არ მიგიწევს მისკენ, არა? მახსოვს, პირველ დღეს, კი, მისი დაბადების დღესვე, მახსოვს, გაუცხოების უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა (პაუზა). და შენ? დღემ როგორ ჩაიარა?

მამა: რას აკეთებდი, სანამ...

დედა (უცებ ბრალმდებლის ტონით): სანამ რა? (ხანმოკლე პაუზა. გამარჯვებულის იერით). მიგიმწყვდიე კუთხეში, ხომ? აღარ იცი, რა მიპასუხო...

მამა: დავიგვიანე. ეს არის მიზეზი? ამის გამო მიბრაზდები? (პაუზა). ამის გამო?

დედა: შენი თათბირი დაგეგმილ დროზე მეტხანს გაგრძელდა.

მამა: კი. მაგრამ...

დედა: მერე? რა პრობლემაა? არანაირი პრობლემა არ არის... ყოველთვის რატომ ართულებ ყველაფერს? გშია?

მამა: არა, შევჭამეთ.

დედა: გასაგებია.

პაუზა.

მამა: მისმინე... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც რიგზე ვერ არის. შენ... ცოტა გადაღლილი მეჩვენები. იქნებ ექიმს დავურეკო...

დედა: არა, ეს მხოლოდ...

მამა: მხოლოდ, რა?

პაუზა.

დედა: აი, ის გოგო...

მამა: ვინ გოგო?

დედა: ძალიან კარგად იცი, ვინც. (პაუზა). ის გოგო...

მამა: ვინ?

დედა: ძალიან გთხოვ...

მამა: რა იყო?

დედა: შეწყვიტე...

პაუზა.

მამა: გინდა, თქვა, რომ...

დედა: ჰო. (*პაუზა*). ვისზეც არის შეყვარებული...

მამა: ნიკოლა?

დედა: კი. როგორ ფიქრობ, ჩვენ მიმართ უარყოფითად არის განწყობილი? უფრო, ჩემ მიმართ?

მამა: არა, არა მგონია. უფრო სწორად, არ ვიცი. მაგას რატომ ამბობ?

დედა: მაგ გოგოს გაცნობის შემდეგ გახდა ასეთი. ადრე სახლში შემოივლიდა ხოლმე, კვირაობით. ნუ, ყოველთვის არა, მაგრამ ზოგიერთ კვირა დღეს. ახლა კი... შეტყობინებებს ვუგზავნი, მაგრამ არ მპასუხობს...

მამა: გაიზარდა.

დედა: შენ ამას გაზრდას ეძახი? მე სისასტიკეს ვუწოდებდი. ვერ ვიტან!

მამა: ის 25 წლისაა.

დედა: ძალიან კარგად ვიცი, რომ 25 წლისაა.

მამა: ხანდახან ისე ჩანს, რომ გავიწყდება.

დედა: მაგის დავიწყება როგორ შემძლია?! შეგახსენებ, რომ მისი დაბადებისას იქ ვიყავი. (*პაუზა*). არა, საქმე მაგაში არ არის. სხვა რამეა. კი ბატონო, იყოს შეყვარებული და იცხოვროს იმ... გოგოსთან ერთად. ისე იქცევა, როგორც სურს. ეს მისი ცხოვრებაა. მაგრამ ეს ჩემი დავიწყების მიზეზად არ გამოდგება. იმის თქმა მინდა... სასაცილოა, მაგრამ ექვიანობა დავიწყე. წარმოგიდგენია? ექვიანობა იმ... გოგოზე. არადა, დედამისი ვარ. არა, ეს შეუძლებელია. შეუძლებელია. ხანდახან ჩემს თავს ვეუბნები... არასდროს უნდა გამეჩინა ბავშვი ისეთი კაცისგან, როგორც შენ ხარ. სილაჩრე - ეს გენეტიკურია, როგორც უმადურობა. თაობიდან თაობას გადაეცემა, ფიზიკური ნაკლივით.

მამა: კარგი, მისმინე... დავურეკავ იმ...

დედა: არა.

მამა: რა?

დედა: მინდა, რომ აქ დარჩე, ჩემ გვერდით.

მამა: წყალს მაინც მოგიტან.

პაუზა. პიერი წყლის მოსატანად გადის.

დედა: იცი რა, ისევ შენს სემინარზე ვფიქრობდი. ხვალინდელ სემინარზე. დილაზე მიემგზავრები, ხომ? რომ იცოდე, როგორ ღიმილს მგვრის. სემინარი? შენი არყოფნის მიზეზების მოგონების პროცესში რომ წარმოგიდგენ. შენ, რომელსაც საერთოდ არ გაქვს წარმოსახვა... გულწრფელად გჯერა, რომ ვეჭვიანობ? კი, ასეა, ოღონდ არა - შენ გამო. მე ის მენატრება. ჩემი ვაჟი. იმიტომ, რომ თვალსა და ხელს შუა ვკარგავ. ჩემი პატარა სიყვარული. ჩემი ბედნიერება. შენ რაც შეგეხება, შენ უკვე დაგკარგე. წლების წინ. ასე რომ, შეგიძლია წახვიდე შენს გოგოებთან ერთად. რაც უნდა იყოს, მე მაინც უკვე სრულიად მარტო ვარ. ყველა რეისი გავუშვი.

პიერი ბრუნდება.

მამა: რას ამბობდი?

დედა: იმას ვამბობდი, რომ საზიზღარი ტიპი ხარ. (*პაუზა*). და ისე, კარგად გაატარე დღე?

მამა (*აღარ იცის, რა ქნას*): გამომართვი. დალიე.

დედა სვამს.

დედა (*იმედეგაცრუებული*): წყალია?

მამა: კი.

დედა: სხვა ვერაფერი ნახე?

მამა: არა. ეს ჯობია.

დედა: მერჩივნა ერთი...

მამა: გასაგებია, მაგრამ არა. ეს წყალია.

პაუზა. ანა ბოლომდე სვამს.

დედა: გმადლობ.

მამა: როგორ ხარ?

დედა: ნორმალურად.

ხანმოკლე პაუზა.

მამა: დარწმუნებული ხარ?

დედა: კი, კი.

მამა: უკეთ გრძნობ თავს?

დედა: კი, გაცილებით.

ხანმოკლე პაუზა.

მამა: დასაძინებლად უნდა წახვიდე.

დედა: არ ვარ დაღლილი.

მამა: მაინც უნდა წახვიდე. ძილის წამალი დალიე.

პაუზა. ანა ღრმად ჩაისუნთქავს და ცდილობს სხვა საგანზე გადაიტანოს საუბარი.

დედა (მსუბუქი ტონით): და შენ? როგორ გაატარე დღე?

მამა: ამას განზრახ აკეთებ? ანა, სპეციალურად აკეთებ ამას?

დედა: რას?

მამა: უკვე მეასედ მეკითხები.

დედა: რას გეკითხები?

მამა: კარგად გავატარე თუ არა დღე...

დედა: მე? რა სისულელეს ამბობ. (*პაუზა. უცებ ეჭვის თვალით შეხედავს*). უცნაურად იყურები, პიერ. მართლა გეუბნები. დალიე? პიერ... თვალეში შემომხედე... დალიე?

მამა: მაგრამ...

დედა: დალიე.

მამა: რა თამაშს თამაშობ?

დედა: მე? არაფერს. შენზე ვდელავ. ეს არის და ეს. (*პაუზა*). ჰო, მართლა, სემინარზე ხვალ მიემგზავრები, ხომ?

მამა: შეწყვიტე, გესმის? შეწყვიტე ჩემით მანიპულირება!

მოულოდნელად წყდება საუბარი. პაუზა.

დედა: ძალიან კარგად ვიცი, რომ საბოლოოდ შენც წასვლით დაამთავრებ. ჰოდა, ხვალ იქნება ეს თუ სხვა დღეს, ამით რა შეიცვლება?

მამა: რაზე ლაპარაკობ?

დედა: იდიოტი არ ვარ. ვიცი, რომ ვგავარ, მაგრამ იდიოტი არ ვარ.

მამა: რაზე ლაპარაკობ?

დედა: ძალიან კარგად ვიცი, რომ საბოლოოდ წასვლით დაამთავრებ.

ხანმოკლე პაუზა.

მამა: ამ სემინარის გამო ამბობ ამას?

დედა: ახლა, როცა ბავშვები აქ აღარ არიან, აღარაფერი გაყოვნებს. ასეა, კარგად ვიცი.

მამა: შენ თვითონ ვერ ხვდები, რას ამბობ.

დედა: შეწყვიტე ჩემი გასულელება! კარგად ვიცი, რომ ახლა შენი ჯერია. ყველა მიდიხართ, ერთმანეთის მიყოლებით. მას შემდეგ, რაც კარგად მიმსახურეთ. ახლა აღარაფერში გჭირდებით. შენს თავს ყოველთვის ეუბნებოდი, რომ ბავშვების გამო უნდა დარჩენილიყავი. ახლა ისინი აქ აღარ არიან. ჰოდა, რას ელოდები? გზა ხსნილია.

მამა: რას ბოდავ, ანა?

დედა: როგორც იქნა, ისეთი ცხოვრება გექნება, როგორც გინდა. დამალობანას თამაშის გარეშე. ეს შენთვის დიდი შვება იქნება, დიდი შვება. ჩემ გამო სემინარებისა და თათბირების მოგონება აღარ დაგჭირდება. შესაძლებლობა გექნება, თავისუფლად უთათუნო ხელები შენს პატარა ძუკნებს. მათთან ერთად ყირაზე გადახვიდე. ხომ იცი, შინაგანად ნამდვილად გახრწნილი კაცი ხარ. *გინდა, ვითხრა, პიერ?*

მამა: რა?

დედა: გახრწნილი კაცი ხარ.

სიბნელე.

სცენა 2

იგივე გარემო, როგორც პირველი სცენის დასაწყისში. თითქმის არანაირი ცვლილება. მსახიობებს ნეიტრალური და ყოფითი ტონი აქვთ.

დედა: აჰ, აქ ხარ?

მამა: კი, ცოტათი დამაგვიანდა. ჩემი მდივანმა არ მოგწერა?

დედა: როგორა არა... მითხრა, რომ თათბირი გქონდა.

მამა: ჰო.

დედა: კარგად ჩაიარა?

მამა: კი, კი. როგორც იქნა, შეთანხმებას მივაღწიეთ.

დედა: მარკუსანის საქმეზე?

მამა: ჰო, საბოლოოდ ჩვენს მხარეზეა.

დედა: შესანიშნავია. კმაყოფილი უნდა იყო.

მამა: ძალაგამოცლილი უფრო ითქმის. შენ როგორ გაატარე დღე?

დედა: ნორმალურად. არაფერი განსაკუთრებული.

მამა: სახლში იყავი?

დედა: კი, ცოტა მივალაგე აქაურობა.

მამა: ჭამე უკვე?

დედა: კი. შენთვისაც არის ქათამი. მაცივარშია, თუ გინდა...

მამა: არა, გმადლობ. მაინცდამაინც არ მშია. (პაუზა). სულ აქ იყავი? ანუ იმის თქმა მინდა, მთელი დღე...

დედა: რა? ჰო. უფრო სწორად, არა. მაღაზიებში გავიარე. კაზა ვიყიდე. იცი, რა ფერი? წითელი!

მამა: წითელი?

დედა: ვიცი, ვიცი. ახლა შესაფერის სიტუაციას ველოდები მის ჩასაცმელად.

მამა იცინის. დედა არა.

მამა: კარგად ხარ? ისეთი სახე გაქვს...

დედა: როგორი?

მამა: რა ვიცი, მოწყენილი. არა?

დედა: არა, არა. (პაუზა). ჰო, მართლა, იმის თქმა მინდოდა... ნიკოლას შეტყობინება გავუგზავნე. მომავალ კვირას ჩვენთან სადილად მოსვლა შევთავაზე, იმ...

მამა: ელოდისთან ერთად?

დედა: კი, მასთან ერთად. სასიამოვნო იქნება, ორივე თუ გვესტუმრება სადილად, არა?

მამა: ანუ ამ კვირას?

დედა: კი. მაგ რიცხვში ხომ დღესასწაულს...

მამა: ჰო, მაგრამ, ხომ იცი, რომ მე აქ არ ვიქნები.

დედა: ეგ როგორ?

მამა: სემინარი მაქვს, ანა. ამაზე ხომ გელაპარაკე...

დედა: დიჟონში?

მამა: კი. ხვალ დილით მივემგზავრები.

დედა: მაგრამ მე მეგონა, რომ ... კვირამდე გაგრძელდება?

მამა: თავისთავად, ოთხდღიანი სემინარია... არ გინდა, მეორე კვირისთვის რომ მოიწვიო? თუ ვერა, ნუ, რას ვიზამთ, უჩემოდ შეიკრიბეთ. მაგრამ მესიამოვნებოდა, მეც რომ მენახა...

დედა: რაც უნდა იყოს, მაინც არ უპასუხია. ზოგჯერ შეტყობინების გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ მეხმიანება.

მამა: მისმინე, ისე გააკეთე, როგორც შენ გინდა და გამაგებინე, რას გადაწყვეტ.

დედა: კარგი. (პაუზა). არ ვიცი, რატომ არასდროს მირეკავს.

მამა: ნიკოლა?

დედა: ჰო. ხმოვან შეტყობინებებს ვუტოვებ, ის კი ზოგჯერ ერთი კვირის შემდეგ მპასუხობს.

მამა: ეს ნორმალურია.

დედა: შენ ამას ნორმალურად თვლი?

მამა: იმის თქმა მინდა... მას თავისი ცხოვრება აქვს.

დედა: ასე მეც მაქვს ჩემი ცხოვრება, მაგრამ ეს მასზე ფიქრში ხელს არ მიშლის.

პაუზა.

მამა: ხვალ აუცილებლად დაგირეკავს.

დედა: ჰო. (პაუზა). და შენ? ე.ი. ხვალ მიემგზავრები?

მამა: კი, დღის მატარებელზე მაქვს ბილეთი.

დედა: დარწმუნებული ვარ, ჩემოდანი ჯერაც არ ჩაგილაგებია.

მამა: ამას რატომ ამბობ?

დედა: იმიტომ, რომ კარგად გიცნობ. იმაზე კარგად, ვიდრე შენ გგონია. ჩემი ხუთი თითივით გიცნობ, პიერ. ხუთი თითივით.

ანა პიერს ისეთი დაჟინებით უყურებს, თითქოს ბოლო ფრაზის უკან - „ჩემი ხუთი თითივით გიცნობ“ - სემინარი, შუადღის სასტუმროს ამბავი, მომავალი მგზავრობა, - ეს ყველაფერი იგულისხმება, რაც პირველ სცენაში ფიგურირებს და რაც აქ არ ჩანს.

მამა: ამას რატომ მეუბნები, თან, ასე?

დედა: იმიტომ, რომ წლებია, შენი ცოლი ვარ. იცი, რამდენი წელია, რაც დაქორწინებულები ვართ?

მამა: კი, რა თქმა უნდა.

დედა: რამდენი?

მამა (დროის გასაყვანად სიტყვებს ეძებს): რა?

დედა: რამდენი?

მამა: რამდენი? მარტივია...

დედა: 25 წელია.

მამა: კი, ასეა. 25 წელი. ბედნიერების.

დედა: ზუსტად ახლა ვფიქრობდი ამ ყველფერზე, ჩვენს ქორწილზე და ჩემს თავს ვეუბნებოდი... ხვდები, როგორი ახალგაზრდა ვიყავი?! 22 წლისა. სარას ასაკში ვიყავი.

მამა: სარა 23 წლისაა.

დედა: რა?

მამა: სარა 23 წლისაა-მეთქი.

დედა: კი, კი. ანუ იმის თქმა მინდოდა, რომ სარაზე პატარა ვიყავი. ჩვენს შვილებზე პატარა ვიყავი.

მამა: ჰო.

დედა: ამის დაჯერებაც კი მიჭირს.

მამა: სწრაფად გავიდა დრო.

დედა: უფრო სწორად, ზედმეტად სწრაფად. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გუშინ იყო. (ხანმოკლე პაუზა). გუშინ. ხვალ კი შენ მიემგზავრები.

მამა: ძალიან შორს არ მივდივარ.

დედა: როგორ არა. ზუსტად, რომ ძალიან შორს მიდიხარ. ზედმეტად შორს. შენ...

მამა: დიჟონი შენ შორს გგონია?

დედა: რა?

მამა: დიჟონი შორს გგონია?

დედა: არა. მართალი ხარ.

მამა: 2 საათზე გადის მატარებელი.

ანა უცებ სევდიანდება. ხანმოკლე პაუზა.

დედა: გინდა, გითხრა, პიერ...

მამა: რა? (პაუზა). რა?

დედა: არა. არაფერი.

სიბნელე.

II აქტი

სცენა 1

მომდევნო დღე, დილა. დედა უკვე იქ არის. მამა შემოდის.

მამა: უკვე გაიღვიძე?

დედა: ოჰ, დღეს რაღაც დაკვირვებული ხარ. რაშია საქმე?

მამა: რა? მაგვიანდება. გვიან გამეღვიძა...

დედა: გაგვიანდება?

მამა: კი, მატარებელზე მაგვიანდება. შენ რას შვრები? კარგად გეძინა?

დედა: არა.

მამა: წუხელ ხმა გავიგე. ადექი, ხომ? ვერ იძინებდი?

დედა: ვერა. უფრო სწორად, ცოტახანს ჩამეძინა. მეტყობა?

დედას აშკარად ეძინება, რომ ნერვიულობს. მამა პერანგის ღილების შეკვრას ამთავრებს.

მამა: რა? არა. რა იყო, რა მოხდა?

დედა: ის დაბრუნდა.

მამა: ვინ?

დედა: ნიკოლა. აქ არის.

მამა: ნიკოლა? აბა, სად არის?

დედა: თავის ოთახში. სძინავს.

მამა: აჰ, მართლა? და აქ რას აკეთებს? იმის თქმა მინდა, არ გავუფრთხილებივართ...

დედა: ღამით დაბრუნდა. ჯერ ისევ სძინავს.

მამა: რატომ დაბრუნდა? რა შეემთხვა, არ უთქვამს?

დედა: არა.

მამა: ღამე მოვიდა?

დედა: კი.

მამა: და არ ჰკითხე, რა სჭირდა?

დედა: არ მისაუბრია. არ მინდოდა, გამეღვიძებინა.

პაუზა. ანა საუზმეს ამზადებს.

მამა: და მაშინ, შენ რატომ არ გეძინა?

დედა: მე... არ ვიცი. ღამე გამეღვიძა. ვიგრძენი, ინტუიციამ მიკარნახა, რომ აქ იყო; რომ დაბრუნდა. ამიტომაც ავდექი და მის საძინებელში შევედი.

მამა (მისი არ სჯერა): ანა...

დედა: არა, ამჯერად იქ იყო. ამჯერად არ შევმცდარვარ. ნამდვილად იქ იყო. ეძინა. ტანსაცმლითვე იყო მიწოლილი თავის საწოლზე. ჩემი დიდი ბიჭი.

მამა: მისმინე...

დედა: რა იყო?

მამა: დარწმუნებული ხარ, რომ აქ არის? იმას ვგულისხმობ, დარწმუნებული ხარ, რომ...

დედა: კი, მაგრამ... ეს-ესაა, გითხარი...

მამა: კი, ვიცი.

დედა: მერე? მიდი, მომნათლე გიჟად, რაღას უცდი!

პაუზა.

მამა: წავალ, ვნახავ.

დედა: არა.

მამა: რა?

დედა: გააღვიძებ. ყავა დალიე. გვიან არ ადგება, ზუსტად ვიცი. (*პაუზა. პიერი ორჭოფობს*). სანამ ელოდები, ყავა დალიე. თვითონ ჩამოვა. დააცადე გაღვიძება.

მამა: ყავა შენ გააკეთე?

დედა: კი. მიდი, ისაუზმე. ყველაფერი გავამზადე.

პიერი ცოტას მერყეობს. შემდეგ ჯდება. პაუზა.

მამა: ჩემი შავი ქურთუკი არ გინახავს? ვერ ვპოულობ...

დედა: მგონი, შემოსასვლელში კიდია.

მამა: აჰ.

ხანმოკლე პაუზა.

დედა: ისეთი ბედნიერი ვარ მისი ნახვით. შენ არა?

მამა: ამას ისე ამბობ, თითქოს წლების უნახავი გვევადეს.

დედა: მართლა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წლები გავიდა.

მამა (*თან საათზე დაიხედავს*): მაგვიანდება. უკვე უეჭველად უნდა წავიდე.

დედა: ჰო.

მამა: ჩემი მატარებელი სადაცაა... მოკლედ, მალე უნდა წავიდე.

დედა: ვიცი, კი. დიჟონში.

მამა: ვერ ვხვდები, დროულად რატომ ვერ გავიღვიძე.

დედა: მე გავთიშე შენი მალვიძარა.

მამა: რა?

დედა: მე გავთიშე შენი მალვიძარა.

პაუზა.

მამა (ისე, *თითქოს არაფერი თქმულა*): მალვიძარას გამო. არ დარეკა.

დედა: აჰ, მართლა?

მამა: არა.

დედა (*საუბრის საგანზე ნაკლებად კონცენტრირებული*): აჰა. (*პაუზა. მამა ყავას სვამს*). შენი აზრით, რატომ დაბრუნდა?

მამა: ვისზე ამბობ?

დედა: ნიკოლაზე... რატომ დაბრუნდა?

მამა (*კვლავ არ სჯერა მისი*): მაგრამ, ანა...

დედა: კითხვა დაგისვი!

მამა (*თამაშში აჰყვება*): მე საიდან უნდა ვიცოდე? რა ვიცი... ჩვენს სანახავად. შენს სანახავად.

დედა: შუალამისას? ჩვენს სანახავად შუალამისას არ მოვიდოდა. კარგად იცის, რომ მაგ დროს, როგორც წესი, გვძინავს.

მამა: რისი თქმა გინდა?

დედა: ვიფიქრე, იქნებ...

მამა: იქნებ, რა?

დედა: ვიფიქრე, ხომ არ დაშორდა იმ...

მამა: ელოდის?

დედა: კი, *მას*. პირველი ეს იყო, რაც თავში აზრად მომივიდა. ღამით რომ ვნახე, თავის საწოლზე, ვიფიქრე, რომ ელოდისთან დაშორებული უნდა ყოფილიყო.

მამა: ასე გგონია?

დედა: არ ვიცი. შესაძლებელია. თუ არა, აბა, აქ რატომ მოვიდოდა? ანუ, გაფრთხილების გარეშე... შუალამისას.

მცირე პაუზა.

მამა: შეიძლება, მართალი ხარ.

დედა: თუ ეს მიზეზია, ე.ი. სახლში დაბრუნდება...

მამა: სხვა ახსნაც შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს.

დედა: აჰ, მართლა? მაინც, რა?

მამა: არ ვიცი. თვითონ გვეტყვის.

დედა: დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. დაშორდა იმ... გოგოს. რაც, სხვათა შორის, საერთოდ არ მიკვირს. ნიკოლა გაცილებით მგრძობიარეა იმისთვის, რომ ისეთ... გოგოსთან იცხოვროს, როგორც ისაა. კი. ჩხუბი მოუვიდოდათ და სახლში ბრუნდება. (*ხანმოკლე პაუზა*). ისეთი ბედნიერი ვარ.

მამა: ანა...

დედა: ისეთი სახე გაქვს, თითქოს ეს ცუდი ამბავი იყოს.

მამა: ელოდისთან თუ იჩხუბა, ვერ ვხვდები, ამაში კარგი რა არის...

დედა: კვლავ ჩემს ვაჟთან ერთად ცხოვრება, აი, ეს არის ყველაზე მშვენიერი, რაც შეიძლება შემემთხვეს. შენს სიკვდილთან ერთად.

მამა: ბოდიში?

დედა: რა თქმა უნდა, რომ ეს კარგი ამბავია.

მამა: რა თქვი?

დედა: ეს კარგი ამბავია-მეთქი. ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო შენი აქ არყოფნის ამ ოთხ დღეში?!

მამა: რაზე ლაპარაკობ?

დედა: შეიძლება, იმდენად ეულად მეგრძნო თავი, რომ... არავინ იცის, ასეთ სიტუაციებში რისი გამკეთებლები ვართ. შეიძლება, მთელი შეკვრა ძილის წამალი გადმოვყაროთ, მაგალითად. შეიძლება სხვა მედიკამენტებში ავურიოთ და ყველა ერთად გადავყლაპოთ. შემდეგ კი საწოლში ჩავწვეთ.

მამა: რას ამბობ?

დედა: იმას გეუბნები, რომ ახლა ყველაფერი კარგად არის. შენი გამგზავრება აღარ მაწუხებს. რადგან, კი, ნამდვილად, ისეთი, ისეთი მოწყენილი ვიყავი, ამ სემინარზე რომ მიემგზავრებოდი. იმის თქმა მინდა, ჩემ გარეშე რომ მიდიოდი.

მამა (ცოტა ცოცხლად): ეს სემინარია, ანა... სემინარზე თან ვერ წაგიყვან. ეს სამსახურის საქმეა, დასასვენებლად კი არ მივდივარ. დიჟონში ტარდება, აჰა, ეგეც დამამტკიცებელი საბუთი. ჯანდაბა.

პაუზა.

დედა: ხანდახან მესიზმრება, რომ გკლავ. ეს ჩემი საყვარელი სიზმარია. ასეთი სიზმრის შემდეგ, რაღაცნაირად, დასვენებულის შეგრძნებით ვიღვიძებ. კარგად მოქმედებს ჩემზე. მაგრამ სიზმარსა და რეალობას შორის განსხვავების გარჩევა შემძლია.

მამა: ანა...

დედა: განსხვავების გარჩევა შემძლია, გარწმუნებ.

მამა: ამას რატომ ამბობ? იმისთვის, რომ დავრჩე? (*პაუზა*). ან ეს წამლების ამბავი რას ნიშნავდა?

დედა: იდეას, რომელმაც თავში გაიელვა.

მამა: რომელმაც „თავში გაიელვა“?

დედა: კი.

მამა: ამას იმიტომ მეუბნები, რომ ამ სემინარზე არ გავემგზავრო? ასეა? შანტაჟს მიწყო?

დედა (გულწრფელი ტონით): დაბრუნებისას ჩემს საწოლში მკვდარი რომ გეპოვე, ეს ამბავი დაგამწუხრებდა? (*ხანმოკლე პაუზა. პასუხის გარეშე*). არა, მართლა, გულწრფელად მიპასუხე. დაგამწუხრებდა?

პაუზა.

მამა: სემინარს გავაუქმებ.

დედა: რატომ? ამის საჭიროება არ არის. ყველაფერი კარგადაა.

მამა: არა, ყველაფერი კარგად არ არის.

დედა: გეუბნები, რომ ყველაფერი კარგადაა. ახლა, როცა ნიკოლა აქ არის. ახლა, როცა ის დაბრუნდა. ჩემი ბიჭი.

მამა: გავაუქმებ ჩემს „სემინარს“.

დედა: შეწყვიტე ამ სიტყვით თამაში!

მამა: რა სიტყვით?

დედა: შეწყვიტე მუდმივი ტყუილები! (უცებ ვაჟიშვილი გამოჩდება. მამა ძალიან გაკვირვებულია). ნიკოლა... (მცირე შეყოვნება). კარგად გეძინა?

ვაჟიშვილი მისაღები ოთახის შუაგულისკენ მიემართება დასაჯდომად. პაუზა.

დუმბილი.

ვაჟიშვილი: ისე, რა.

დედა: ყავა გინდა?

ვაჟიშვილი: კი, მინდა. (ანა ფინჯანს უდგამს. ნიკოლას ახალგაღვიძებულის სახე აქვს. პაუზა). ბოდში, გაუფრთხილებლად რომ მოგადექით.

დედა: ეგ რა სათქმელია. შენს სახლში ხარ. საბოდში არაფერი გაქვს, ჩემო სიყვარულო. ასე არ არის?

მამა: კი, რა თქმა უნდა.

დედა: მამაშენი უნდა გაემგზავროს. სემინარი აქვს, დიჟონში. შენი აზრით, სემინარები დიჟონში - მსგავსი რაღაც რეალურია? ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გაემგზავროს. მატარებლის ბილეთი აქვს. ამ დილით მისმა მადვიძარამ არ დარეკა. მე გავთიშე, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის. ვაღიარებ, რომ ჩემი მხრიდან დიდებული საქციელი არ არის, მაგრამ ეს პატარა შურისძიება იყო. პატარა შურისძიება იმ ყველაფრისთვის, რასაც მიკითებს. ან უფრო სწორად, იმ ყველაფრისთვის, რასაც აღარ მიკეთებს. (პაუზა. თითქოს არც არაფერი ყოფილა). ყავა გინდა?

ვაჟიშვილი: კი, მინდა.

დედა: მოიცადე. სამზარეულოშია დარჩენილი. ყველაფერი გავამზადე.

ანა გადის. პაუზა.

ვაჟიშვილი (მამას): უნდა გაემგზავრო?

მამა: კი, სამსახურის გამო.

ვაჟიშვილი: როდის?

მამა: მალე. ცოტათი უკვე ვიგვიანებ კიდეც.

ვაჟიშვილი: რა სჭირს?

მამა: ის... ის ჯერ კიდეც სუსტადაა.

ვაჟიშვილი: მე მეგონა, ყველაფერმა გაიარა...

მამა: პერიოდულად ემართება, ხომ იცი. ცოტა მალეღვებს მისი ახლანდელი მდგომარეობა.

ვაჟიშვილი: უკვე მიდიხარ?

მამა: კი, უნდა წავიდე, თუ არ მინდა, რომ მატარებელმა გამასწროს. (ხანმოკლე პაუზა). შენ როგორ ხარ, რა ხდება?

ვაჟიშვილი: ნორმალურად.

მამა: სერიოზული არაფერია?

ვაჟიშვილი: არა, სერიოზული არაფერი.

მამა: შენ... მოკლედ... კარგია, რომ შემოიარე. მუდმივად იმას იმეორებს, რომ მის სანახავად არასდროს მოდიხარ.

ვაჟიშვილი: ვიცი. შეტყობინებები გამომიგზავნა. (პაუზა). ნუ ღელავ, მასზე მე ვიზრუნებ.

მამა: ჰო. (ხანმოკლე პაუზა). ასე. დროა, ჩემს ბარგს მივხედო.

ვაჟიშვილი: უთხარი?

მამა: რა?

ვაჟიშვილი: უთხარი?

მამა: არა. ჯერ არა.

დედა ბრუნდება.

დედა: გამომართვი, ჩემო საყვარელო. აი, ყავა.

ვაჟიშვილი: გმადლობ, დედა.

დედა: სხვა რამეც გინდა? პური? ან სხვა რამე. გინდა, წვენი გაგიკეთო?

მამა: ჩემს ბარგს მივხედავ.

დედა: ახა, რა. კი. მიხედე შენს ბარგს. (*პაუზა. მამა გადის*). სხვა არაფერი გინდა?

ვაჟიშვილი: არა, გმადლობ.

დედა: შენ გჯერა მისი ეს სემინარის ისტორიები? (*ვაჟიშვილი მხრებს იჩეჩს*). მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. როგორ ხარ?

ვაჟიშვილი: შენ?

დედა: არა მიშავს. მიხარია შენი ნახვა.

ვაჟიშვილი: მეც.

დედა: რა მოხდა? რატომ დაბრუნდი? ანუ იმის თქმა მინდა, ასე, გაუფრთხილებლად...

ვაჟიშვილი: რთული საკითხია.

დედა: არ გინდა ლაპარაკი?

ვაჟიშვილი: სიმართლე რომ გითხრა, არა.

დედა: ეს მის გამოა?

ვაჟიშვილი: დედა...

დედა: მხოლოდ ეს მითხარი... მის გამო?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: ასეც ვიცოდი. (*პაუზა*). მოწყენილი ხარ? (*ვაჟიშვილი თავით ანიშნებს - „ცოტათი“*). ნებისმიერ შემთხვევაში, იცი, რომ აქ იმდენ ხანს შეგიძლია დარჩე, რამდენსაც ისურვებ. არ მაწუხებ.

ვაჟიშვილი: გმადლობ, დედა.

დედა: აქ იმდენ ხანს შეგიძლია დარჩე, რამდენ ხანსაც გსურს.

ვაჟიშვილი: ჰო.

დედა: როგორ ფიქრობ, დიდხანს დარჩები?

ვაჟიშვილი: არ ვიცი. შევხედავ.

დედა: დასცილდით? (პაუზა). გიღალატა?

ვაჟიშვილი: რა?

დედა: გიღალატა.

ვაჟიშვილი: ამას რატომ ამბობ?

დედა: ვვარაუდობ, უბრალოდ. უეჭველად სხვასთან ეძინა და მიასწარი, ასეა? რა თქმა უნდა, ასეა. ყოველთვის ერთი და იგივე ისტორიაა. მას სხვა ბიჭთან ეძინა. იმ ფაქტზე აღარაფერი ვთქვით, რომ მასთან უფრო დიდი სიამოვნება განიცადა, ვიდრე შენთან. კი, ასე იქნებოდა. ეს აუცილებელია. ვიცი, რომ განადგურებულად გრძნობ თავს, ჩემო სიყვარულო. ეს გულში დანის გაყრას ჰგავს. მესმის შენი. არა, ჯობია, მთელ ამ ისტორიას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

ვაჟიშვილი: უბრალოდ, დასაძინებლად მოვედი, დედა. ერთი ღამით...

დედა: მაგრამ შენ იცი, რომ აქ იმდენ ხანს შეგიძლია დარჩე, რამდენსაც ისურვებ.

ვაჟიშვილი: კი, ეგ უკვე მითხარი.

პაუზა.

დედა: და როგორ გაიგე? შემთხვევით წაადექი თავზე?

ვაჟიშვილი: რა?

დედა: სხვა ბიჭთან... დაგეგმილზე ადრე დაბრუნდი და სხვა კაცის მკლავებში ნახე, ასეა?

ვაჟიშვილი: წავკამათდით. სულ ეს არის.

დედა: და ბინიდან წამოხვედი.

ვაჟიშვილი: კი.

დედა: სწორად მოქცეულხარ.

ვაჟიშვილი: სინამდვილეში შენ ის არასდროს გიყვარდა...

დედა: ვინ?

ვაჟიშვილი: ელოდი.

დედა: ვულგარულად მიმაჩნდა.

ვაჟიშვილი: ელოდი?

დედა: კი. თან, საკმაოდ უშნოდ. ფიზიკურ მხარეს ვგულისხმობ. მორალური თვალსაზრისითაც არ მგონია კარგი პიროვნება. *(ვაჟიშვილი იცინის)*. რა იყო, რატომ იცინი?

ვაჟიშვილი: ისე.

დედა: რას ჰქვია, ისე?! მითხარი.

ვაჟიშვილი: დიდად არც მას უყვარდი.

დედა: აჰ, მართლა? რატომ? რას ამბობდა?

ვაჟიშვილი: ამბობდა, რომ ცხოვრებაში მიშლიდი ხელს. ამბობდა... *(ერთმანეთს პირდაპირ თვალეებში შეხედავენ. მუსიკის ხმა აძლიერებს ინტენსიურ შეგრძნებას პირისპირ მდგარ დედასა და ვაჟს შორის. ვაჟი ნელა აგრძელებს)*. რომ არ იცოდი, ჩემ გარეშე როგორ უნდა გეცხოვრა. ამბობდა, რომ ჩემით სუნთქავდი და რომ ჩემი გაშვება არ გინდოდა... ამბობდა, რომ გაზრდის საშუალებას არ მამლევდი; რომ გერჩივნა, გაგენადგურებინე, ვიდრე შენგან მოშორებით მომეწყო ცხოვრება. ამბობდა, რომ ზედმეტად გიყვარდი.

პაუზა. უხერხულობის მომენტი.

დედა: გულწრფელად რომ გითხრა, ვერ ვხვდები, სად იპოვა ამ ყველაფრის თქმის მიზეზი. *(პაუზა. ისევ ერთმანეთს შეხედავენ)*. „ზედმეტად სიყვარული“, ეს არაფრისმთქმელი სიტყვებია. არ შეიძლება, ზედმეტად გვიყვარდეს. ან გვიყვარს, ან არ გვიყვარს. მე ასე მგონია. არა? არ მეთანხმები? *(ვაჟიშვილი იღიმის)*. როგორც ჩანს, არ ჰყვარებიხარ, თუკი ასეთ რაღაცებს გეუბნებოდა.

ვაჟიშვილი: ვუყვარვარ, ვიცი.

დედა (დაეჭვებული): უყვარხარ? იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გაგიკეთა? ნუ, კარგი, დავუშვათ, მე ზედმეტად მიყვარხარ, მაგრამ, მინდა, გითხრა... ვინც ასე დაგამწუხრა, მას არ ჰყვარებიხარ *საკმარისად*.

სიბნელე.

სცენა 2

თითქმის მაშინვე. დედა და მამა საუზმობენ. მამა იმ ადგილზე ზის, სადაც წინა სცენის დასასრულს ვაჟიშვილი იჯდა.

მამა: მაგვიანდება. ჩემი მალვიძარას ბრალია, ზარის ხმა ვერ გავიგე. უნდა ვიჩქარო, თუ არ მინდა, რომ მატარებელმა გამასწროს...

უცებ ვაჟიშვილი შემოდის.

დედა: ნიკოლა!

ვაჟიშვილი: გამარჯობა.

დედა (მამას): აი, ხომ გითხარი, ქვემოთ ჩამოვა-მეთქი. (ვაჟიშვილს). კარგად გეძინა, ჩემო სიყვარულო?

ვაჟიშვილი: რა? ნორმალურად. (ხანმოკლე პაუზა. დივანზე ჯდება). თქვენ რას შვრებით, ყველაფერი რიგზეა?

მამა: ღამით მოხვედი?

დედა (მამას რეპლიკით გაღიზიანებული): რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთი და იგივე?! მოდი, ყავა დალიე. გესიამოვნება.

ვაჟიშვილი: კი, მინდა. გმადლობ.

პაუზა.

დედა: მამაშენი ვერ დარჩება.

მამა: უნდა გავემგზავრო. სემინარი მაქვს.

ვაჟიშვილი: აჰ, მართლა?

მამა: კი.

ვაჟიშვილი: ანუ მიემგზავრები...

მამა: იქ... ცოტათი დამაგვიანდა კიდევ. საუკეთესო დღე ნამდვილად არ მაქვს.

დედა: ჰოდა, მიდი, წადი... თორემ გაგასწრებს მატარებელი.

მამა: ჰო, ჩემს ბარგს უნდა მივხედო.

ვაჟიშვილი: რამდენი ხნით მიდიხარ?

მამა: ოთხი დღით. მიკროკრედიტების შესახებ იმართება სემინარი.

დედა: დიჟონში.

მამა: ჰო.

პაუზა.

დედა: კიდევ გინდა ყავა? წავალ, მოგიტან. ყველაფერი გავამზადე. გინდა კიდევ?

ვაჟიშვილი: კი, მინდა. აღარ მაქვს. (დედა გადის. პაუზა). თუ გაგვიანდება, წადი.

მამა: მივდივარ, კი. (პაუზა. მამა არ მიდის). და შენ?.. როგორ ხარ?

ვაჟიშვილი: ნორმალურად.

მამა: ისეთი არაფერია? ანუ, იმის თქმა მინდა...

ვაჟიშვილი: რისი თქმა გინდა?

მამა: რა? არაფრის. ე.ი. ყველაფერი კარგადაა...

ვაჟიშვილი: კი. ბოდში, ასე გაუფრთხილებლად რომ მოგადექით...

მამა: არა, პირიქით. დედაშენი კმაყოფილია. სულ იმას მეუბნება, რომ არც ისე ხშირად ნახულობ.

ვაჟიშვილი: ვიცი. შეტყობინებებს მიგზავნის.

მამა: ხომ იცი, მას შემდეგ, რაც სარა ცალკე გადავიდა, ძირითადად, სულ მარტოა.

ვაჟიშვილი: შაბათ-კვირას ხომ მოდის ხოლმე?

მამა: ხანდახან. ყოველთვის არა.

ვაჟიშვილი: და შენ, აქ ხარ?

მამა: კი, კი, აქ ვარ. (ხანმოკლე პაუზა). ყოველთვის არა. (ხანმოკლე პაუზა). ხომ იცი, ეს სამსახური. (პაუზა). ყურადღებით უნდა ვიყოთ მის მიმართ.

ვაჟიშვილი: ჰო.

მამა: კარგი, წავალ, ბარგის ჩალაგებას დავამთავრებ.

დედა ბრუნდება.

დედა: აი, ესეც ყავა. ადრე დილაობით ჩაის სვამდი, გახსოვს?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: ყავას არასდროს სვამდი. ეს მას შემდეგ, რაც... მოკლედ, ახლა ყავას სვამ.

მამა: დავბრუნდები.

მამა გადის. პაუზა.

დედა: სხვა რამეც გინდა? პური ან სხვა რამე?

ვაჟიშვილი: არა, გმადლობ. მეტი არაფერი.

დედა: დარწმუნებული ხარ?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: წუხელ ავდექი და შენი ქურთუკი ვნახე შემოსასვლელში. აი, ის... შენი შავი ქურთუკი. ჰოდა, მივხვდი, რომ აქ იყავი.

ვაჟიშვილი: მინდოდა, გამეფრთხილებინე, მაგრამ...

დედა: გაფრთხილება საჭირო არ არის. ეს შენი სახლიცაა. (*პაუზა. ვაჟიშვილი ყავას სვამს*). ცოტა ხნის წინ ის დრო გამახსენდა, პატარები რომ იყავით... თქვენს გაღვიძებამდე ვდგებოდი და საუზმეს გიმზადებდით... გახსოვს? ვგიჟდებოდი ამ პროცესზე. თქვენი პატარა თასების დადება მაგიდაზე, წყლის ადუღება, მაცივრიდან ჯემის გამოღება და თქვენი გაღვიძება... ეს ერთგვარი რიტუალივით იყო, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა. შემდეგ ერთად მივდიოდით სკოლაში... გახსოვს? დილას ვფიქრობდი ამაზე. რომ იცოდე, ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი როგორ ძალიან მიყვარდა. ისე მიყვარდა. მგონია, რომ იმ პერიოდში ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, კი. (*პაუზა. ვაჟიშვილი ფიქრებით სხვაგანაა. დედა ამას ხვდება*). იმედია, პრობლემები არ გაქვს.

ვაჟიშვილი: ყველაფერი რიგზეა.

პაუზა.

დედა: თქვენ...

ვაჟიშვილი: რა?

დედა: იჩხუბეთ, ხომ?

ვაჟიშვილი: მისმინე... დიდად არ მაქვს ამაზე ლაპარაკის სურვილი. მაგრამ... მოკლედ, შენც ხედავ.

დედა: კარგი, გასაგებია.

ვაჟიშვილი: მე...

დედა: ჰო, ჰო.

ვაჟიშვილი: ბოდიში, მაგრამ ახლა...

დედა: არა, არა. მესმის.

ვაჟიშვილი: კი, მე...

დედა: ნებისმიერ შემთხვევაში, შენი ნახვა ყოველთვის მაბედნიერებს. ჩემი სიყვარული ხარ, ხომ იცი?! და ყოველთვის შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს.

ვაჟიშვილი: გმადლობ, დედა.

ანა ნიკოლას თმაზე ეფერება.

დედა: ჩემი პატარა ბიჭი... სუფთა თეთრეული არ გჭირდება? გინდა, შენს სარეცხს მივხედო?

ვაჟიშვილი: მე... არ ვიცი. მაღლა უნდა ავიტანო ჩემი ნივთები.

დედა: მე მგონი, აქ ბევრი არც აღარაფერი გაქვს. ყველაფერი გადაიტანე.

ვაჟიშვილი: მართლა?

დედა: კი. მაგრამ არა უშავს, ჯერჯერობით, შეგიძლია, მამაშენის ნივთები გამოიყენო.

ვაჟიშვილი: ვნახოთ...

დედა: ჰო. ისე, როგორ ფიქრობ, ზუსტად როდემდე... ხომ იცი, კვირას დღესასწაულს...

მამა ლაპარაკით შემოდის.

მამა: ესეც ასე. ბოდიში, ასე რომ ვჩქარობ, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე.

დედა: კი, ვიცით.

მამა: ჰო. მოკლედ, მივდივარ. ისედაც დავიგვიანე. (*ხანმოკლე პაუზა*). დაგირეკავთ.

მამა წასასვლელად ემზადება. ვაჟიშვილი დგება.

ვაჟიშვილი: ასე, უბრალოდ წახვალ?

მამა: რას გულისხმობ?

ვაჟიშვილი: არაფრის თქმას არ აპირებ?

პაუზა.

მამა (*მოუხერხებლად*): მე... მოკლედ... უნდა... ჰო, იმისთვის... სიტუაციის გასარკვევად, ნათელი რომ მოეფინოს, ამის თქმა გინდა? ანუ პირისპირ... ასე ვთქვათ,

„კომპლექსური“ სიტუაცია. საბოლოოდ, საკმაოდ „მნიშვნელოვანი“ საკითხები. მიკროკრედიტები... მოკლედ, რომ ჩავალ, დაგირეკავთ, კარგი? აბა, კვირამდე!

მამა მიდის. პაუზა.

დედა: როგორც იქნა, წავიდა. *(ატმოსფეროს სწრაფი ცვლილება: მომდევნო მონოლოგის დროს ისეთი გარემო უნდა იყოს, რომ მისი რეალურობა საეჭვო გახდეს. ვაჟიშვილი მართლა დაბრუნდა? თუ ეს ყველაფერი დედას წარმოსახვის ნაყოფია?).* დილას რომ ვუთხარი, აქ იყავი, რომ ღამით დაბრუნდი, არ მიჯერებდა. ეს მის ქცევაში ამოვიკითხე. ეგონა, ეს ამბავი მე მოვიგონე იმისთვის, რომ... არ ვიცი. რომ ამეფორიაქებინა. ვეუბნებოდი, რომ დაბრუნდი; რომ ღამით დაბრუნდი და ისე მიყურებდა, როგორც შეურაცხადს. ფიქრობდა, გიჟის როლს ირგებს ჩემს შესაკავებლად, გამგზავრებაში ხელი რომ შემეშალოსო. აი, ამას ფიქრობდა, წარმოგიდგენია?! მისი სახე უნდა გენახა... მისი სახე უნდა გენახა, ოთახში რომ შემოხვედი. არ სჯეროდა. არც მე მჯეროდა. ჩემს თავს ვეუბნებოდი: როგორც იქნა, ის დაბრუნდა, ესეც ასე. ჩემი სიყვარული დაბრუნდა. შენ დაბრუნდი. მაგრამ... მითხარი, ხომ აღარ წახვალ? ახლა, როცა აქ ხარ, ხომ აღარ წახვალ? *(ხანმოკლე პაუზა).* არ მიპასუხებ? *(ხანმოკლე პაუზა).* რატომ არაფერს ამბობ? არაფერს ამბობ, მაგრამ ვიცი, რაზეც ფიქრობ.

უცებ მამა შემოდის, ჩემოდნით. სცენა ისე ვითარდება, თითქოს ჯერ არ გამგზავრებულა. როცა ლაპარაკს იწყებს, მომენტალურად ისევ ძველებური ატმოსფერო ბრუნდება.

მამა: ესეც ასე. ბოდიში, ასე რომ ვჩქარობ წასვლას.

დედა: ბარგი უკვე ჩაალაგე?

მამა: კი, უცებ ჩავალაგე. არ მინდა, მატარებელმა გამასწროს. *(პაუზა).* შენს თავს ელაპარაკები?

დედა: რა? არა.

მამა: კარგად ხარ?

დედა: კო.

მამა: ისეთი სახე გაქვს, თითქოს აქ არ ხარ....

დედა: მე?

მამა: კი, შენ. რაზე ფიქრობ?

დედა: არაფერზე. იმ დროს ვიხსენებდი, როცა... იმ დროს, როცა დილით ადრე ვდგებოდი, რომ შენთვის და ბავშვებისთვის საუზმე მომემზადებინა. გახსოვს? შემდეგ სკოლაში მიმყავდა...

მამა: ჰო.

დედა: გახსოვს? ხანდახან ეს ისე მენატრება.

მამა (ნაზად): რაც უნდა იყოს, ეცადე, ისევ დაწვე, კარგი? ძალიან მესიამოვნა, ასე ადრინად რომ ადექი ჩემთან ერთად სასაუზმოდ, მაგრამ ჯერ ისევ ძილის დროა. დალლილი სახე გაქვს.

დედა: ერთადერთი, რაც მღლის, ეს შენ ხარ.

მამა: რა? (პაუზა). კარგი. მოკლედ, რომ ჩავალ, დაგირეკავ. და ყურადღება მიაქციე...

დედა: რას?

მამა: შენს თავს. (ხანმოკლე პაუზა). აბა, შენ იცი... (ანას ჰკოცნის და ჩემოდნით ხელში გადის). კვირამდე.

პიერი ანას უღიმის და გადის. პაუზა. ანა თავის ვაჟს უღიმის. სიბნელე.

III აქტი

სცენა 1

მისაღებ ოთახში, მომდევნო დღეს. დედას წითელი კაბა აცვია. ოთახში სარკეა, რომელშიც შეუძლია, ჩაიხედოს. ვაჟს დეპრესიული იერი აქვს.

ვაჟიშვილი: კიდევ არ დაურეკავს.

დედა: ჩემი კაბა ნახე?

ვაჟიშვილი: ორი დღე გავიდა.

დედა: შენ მისგან წამოხვედი, ნიკოლა. ლოგიკურად იმსჯელე. რატომ ელოდები მის ზარს?

ვაჟიშვილი: არ ველოდები. უბრალოდ, აღვნიშნე, რომ კიდევ არ დაურეკავს.

დედა: აქ როგორ დარეკავდა? ანუ, რატომ აქ? მისთვის არ გითქვამს, სად მიდიოდი.

ვაჟიშვილი: წესით, უნდა მიმხვდარიყო. სხვაგან სად წავიდოდი, თუ არა, აქ?..

დედა: ჩემი კაბა ნახე?

ვაჟიშვილი: ახალია?

დედა: კი, გუშინ ვიყიდე. მოგწონს? (*დედა გულუბრყვილო სახით ტრიალებს*). აბა, მოგწონს?

ვაჟიშვილი: ის...წითელია.

დედა: არ მოგწონს?

ვაჟიშვილი: კი, როგორ არა. გიხდება.

დედა: ასე ფიქრობ?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: შენი აზრით, რამდენი წლისას ვგავარ ამ კაბაში?

ვაჟიშვილი: არ ვიცი.

პაუზა.

დედა: არ გინდა, ამ საღამოს სადმე გავიდეთ?

ვაჟიშვილი: სად?

დედა: არ ვიცი. სადმე.

ვაჟიშვილი: რისთვის?

დედა: რა ვიცი, სასეირონოდ. (*ნიკოლა მხრებს იჩეჩს*). განსატვირთად. ორი დღეა, სახლში უაზროდ დაბორიალობ.

ვაჟიშვილი: ეს კაბა ამიტომ ჩაიცვი?

დედა: ეს კაბა გუშინ ვიყიდე, კონკრეტული მიზეზის გარეშე. ფერი მომეწონა. აბა, თანახმა ხარ?

ვაჟიშვილი: იცი, ნამდვილად არ მაქვს სახლიდან გასვლის სურვილი.

დედა: უკეთ გახდები.

ვაჟიშვილი: მართლა არ მაქვს მაგის თავი.

დედა: ჰოდა, ზუსტად მაგიტომ. (*პაუზა. მხიარულად*). შეგვიძლია, სადმე სავახშმოდ წავიდეთ. ზღვის პროდუქტები შევუკვეთოთ, კარგ ღვინოსთან ერთად. რას იტყვი? შემდეგ საცეკვაოდაც შეგვიძლია წასვლა. ცოტა გავიაროთ, განვიტვირთოთ.

ვაჟიშვილი: გმადლობ, ჩემზე რომ ზრუნავ, მაგრამ მართლა არ მეხალისება.

დედა: ჩემს კითხვაზე არ მიპასუხე... არ ფიქრობ, რომ ამ კაბაში უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები?

ვაჟიშვილი: დედა...

დედა: რა იყო? კითხვა დაგისვი...

ვაჟიშვილი: აზრზე არ ვარ.

დედა: უბრალოდ, კონკრეტული რიცხვი თქვი... რა ასაკს მომცემდი?

ვაჟიშვილი: ციფრებთან ყოველთვის რთული ურთიერთობა მქონდა...

დედა: შენი აზრით, შენთან ერთად ხელკავით დანახვისას ხალხი ჩვენზე რას იფიქრებდა? იმას ნამდვილად არა, რომ ჩემი ვაჟი ხარ... ალბათ იტყოდნენ, აი, შეხედეთ, თავის ახალგაზრდა საყვარელთან ერთად არისო.

ვაჟიშვილი: გეყოფა.

ანა ნიკოლას უახლოვდება.

დედა (*ისევ ისე, თითქოს როლს თამაშობს*): ამ საღამოს ჩემს ახალგაზრდა საყვარელთან ერთად მიინდა გავლა.

ვაჟიშვილი: უკვე გითხარი, გარეთ გასვლის თავი არ მაქვს.

დედა: აბა, რა გესიამოვნება?

ვაჟიშვილი: მშვიდად ყოფნის საშუალება რომ მომცე.

პაუზა. ენთუზიაზმი მკვეთრად იკლებს.

დედა: ბოდიში. მართალი ხარ. (*ხანმოკლე პაუზა. უხერხულობის მომენტი. ანა ისევ დედის როლს უბრუნდება*). გინდა, რამე საჭმელი მოგიმზადო?

ვაჟიშვილი: გმადლობ, დედა, მაგრამ, იცი... არ მშია.

დედა: ისევ ისეთი მოწყენილი ხარ?

ვაჟიშვილი: სუნთქვა მიჭირს, ზუსტად თუ გინდა, იცოდე.

პაუზა.

დედა: ყოველთვის ასეთი იყავი. ზედმეტად მგრძნობიარე. შენი ძმები გაცილებით ამტანები იყვნენ. ცხოვრებას უფრო კარგად უღებდნენ ალღოს. ნაკლებად მელანქოლიურები იყვნენ, შენთან შედარებით.

ვაჟიშვილი: ამას რატომ ამბობ?

დედა: რას?

ვაჟიშვილი: მე ძმები არ მყავს, დედა.

დედა: რა?

ვაჟიშვილი: ძმები არ მყავს-მეთქი.

დედა: ვიცი.

ვაჟიშვილი: ჰოდა, აბა, რას ლაპარაკობ?

დედა: იმის თქმა მინდა, რომ შენ ყოველთვის განსხვავებული იყავი.

პაუზა.

ვაჟიშვილი: მთავარი ეგ არ არის. საქმე იმაშია, რომ ეს გოგო ჩემთვის *ყველაფერი* იყო. ყველაფერი, ხვდები?

დედა: მაგრამ სწორედ შენ წამოხვედი მისგან.

ვაჟიშვილი: ეგ არაფერს ცვლის. ველარ დავრჩებოდი.

დედა: ჰოდა, რაღა გინდა? (*პაუზა*). აი, თუ გინდა, ძილის წამალი დალიე. უკეთ გაგხდის.

ვაჟიშვილი: ძილის წამალი?

დედა: კი.

ვაჟიშვილი: რატომ?

დედა: ამას თუ დაუმატებ აი, ამ პატარა ლურჯ აბს, ნახავ, რომ ასე უკეთესი იქნება.

ვაჟიშვილი: ეს რაღაა?

დედა: წამალი. მე მუდმივად ვიღებ.

ვაჟიშვილი: დასაძინებლად?

დედა: არა, ცხოვრების გასაგრძელებლად. უკეთ გაგხდის. აჰა, დალიე.

ვაჟიშვილი: გმადლობ.

დედა: მე მუდმივად ვიღებ.

ვაჟიშვილი: რისთვის გამოიყენება? დამამშვიდებელია?

დედა: დამამშვიდებელიც, ამაღელვებელიც. ცოტ-ცოტა ყველაფრისთვისაა. *(ვაჟიშვილი პირში იღებს წამალს)*. მე მუდმივად ვიღებ. *(ვაჟიშვილი ყლაპავს)*. ახლა კი, ვეცადოთ, ბედნიერები ვიყოთ, კარგი? ჩვენ... სავახშმოდ წაგიყვან. მწუხარება ცხოვრების მტერია.

ვაჟიშვილი: არ ვიცი.

დედა: ჩემი მანქანით წავიდეთ.

ვაჟიშვილი: შორს გინდა წასვლა?

ანა კიდევ უფრო უახლოვდება ნიკოლას.

დედა: კი. ძალიან შორს.

ვაჟიშვილი: მაინც, სადამდე?

დედა: სადამდეც შესაძლებელია.

პაუზა. უცებ ახალგაზრდა გოგო შემოდის: ეს ელოდია.

გოგო: გამარჯობა.

პაუზა. ვაჟიშვილი დგება. რაღაც ტყდება.

ვაჟიშვილი: აქ რას აკეთებ?

გოგო: შენი ნახვა მიხლოდა. *(დედას)*. გამარჯობა...

დედა: სადამო მშვიდობისა.

გოგო: დიახ, სადამო მშვიდობისა. *(პაუზა)*. ვიფიქრე, რომ აქ იქნებოდი.

ვაჟიშვილი *(მკაცრი ტონით)*: რა გინდა?

გოგო: მინდოდა... არ ვიცი... შენთან ლაპარაკი.

ვაჟიშვილი: რაზე?

დედა: სათქმელი არაფერია.

გოგო: ეს ისეთი გაუსაძლისია. მე... ვერ ვხვდები, ასე რატომ წახვედი. ასე უხეზად.

ვაჟიშვილი (*თითქმის აგრესიულად*): ვერ ხვდები, რატომ?

გოგო: კი, როგორ არა, მაგრამ ზედმეტად სასტიკად მეჩვენება.

დედა: ამაზე მანამდე უნდა დაფიქრებულიყავი. ახლა უკვე გვიანაა.

ვაჟიშვილი: დედა!

დედა: რა?

პაუზა.

გოგო: ვიცი, რომ აქ სასურველი სტუმარი არ ვარ. ყველანაირ შეფასებას ვიღებ. მაგრამ ასე ვერ გავჩერდებოდი, შენთან ლაპარაკის გარეშე. ორი დღეა, არ მძინებია. (*ვაჟიშვილს მერყეობა ემჩნევა. პაუზა*). არაფერს იტყვი? თქვი რამე...

ვაჟიშვილი: არა.

დედა ღელავს. ორჭოფობის მომენტი.

დედა: ნიკოლა...

ვაჟიშვილი: რა?

დედა: თქვი რამე!

ვაჟიშვილი: ვერ გადამიწყვეტია.

დედა: რა?

ვაჟიშვილი: არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

დედა და ვაჟიშვილი გოგოს თანდასწრებით ისე ლაპარაკობენ, თითქოს ის იქ არც იყოს ან თითქოს რაღაც უსულო საგანი იყოს.

დედა: ამის უფლებას ნუ მისცემ, ნიკოლა! შეხედე...

ვაჟიშვილი: ჰოდა, ზუსტადაც...

დედა: კი, მაგრამ, კარგად შეხედე, ნიკოლა. ესენი ყველა ერთსა და იმავე ნომერს იყენებს.

ვაჟიშვილი: (*პატარა ბავშვივით*): ჩემს თავს ვეღარ ვაკონტროლებ.

ნიკოლა დაჰიპნოზებულივით არის.

დედა: ნიკოლა... ეს-ესაა, მოვიდა, ორი წინადადება გითხრა და უკვე გაები?

ვაჟიშვილი (*თან გოგოს თვალს არ აცილებს*): ჰო, მაგრამ ის ისეთი ლამაზია.

დედა: ის ისეთი ლამაზია, ის ისეთი ლამაზია. ასე გადაჭარბებაც არ არის საჭირო...

ვაჟიშვილი: კი, მაგრამ, შეხედე, როგორ მიყურებს.

დედა ახლოს მიდის, რომ ნახოს, როგორ უყურებს გოგო მის ვაჟს.

დედა: განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

ვაჟიშვილი: ვერ ხედავ?

დედა: ვერა. უბრალოდ, გოგოა, რომელიც გიყურებს. ერთ-ერთი ისეთი გოგო, კიდევ ათეულობით რომ იქნება შენს ცხოვრებაში.

ვაჟიშვილი (*პოეტური სულისკვეთებით*): ოჰ, ეს მისი ირისი.

დედა: რა? ირისი? რა ირისი?

ვაჟიშვილი: ის მე მატყვევებს.

ხანმოკლე პაუზა. ნიკოლა ისევ ჰიპნოზირებულია.

დედა ამაზე ღელავს. არასტაბილური გარემო.

დედა: ნიკოლა, ზღვის პროდუქტების საჭმელად ვაპირებდით წასვლას, ჩვენ ორი. შემდეგ კი - საცეკვაოდ. ამ საღამოს... ერთად უნდა გაგვეტარებინა საღამო, გახსოვს? შენ ხომ არ გაჰყვები? თქვი, ხომ არ გაჰყვები და არ დამტოვებ აქ, სრულიად მარტოს?

გოგო (*ცივად*): რა თქმა უნდა, გამომყვება. მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ.

დედა: რა?

გოგო: მე 25 წლის ვარ. ახალგაზრდა ვარ, მასსავით. ჩვენ ცხოვრება გვინდა.

დედა: და მე?

გოგო: და თქვენ, რა?

დედა: მაგრამ... ამ ყველაფერში მე რა ფუნქცია მაქვს? (*გოგო დემონსტრაციულად იჩეჩს მხრებს. იგრძნობა, რომ დასცინის*). ეს ყველაფერი გულისრევის შეგრძნებას მიჩენს.

გოგო: აიღეთ.

დედა: ეს რა არის?

გოგო: ცხვირსახოცი.

დედა: არ მითქვამს, რომ ცხვირის მოწმენდის სურვილი მქონდა. მე ვთქვი, რომ გულისრევის შეგრძნება მაქვს. ახლა კი, მეტირება. მომაწოდეთ ისევ თქვენი ცხვირსახოცი.

გოგო: თავი არ შეიკავოთ.

ვაჟიშვილი: კი, მიდი, დედა, თავი არ შეიკავო. (*პაუზა*). უკეთ ხარ?

დედა მხრებს იჩეჩს.

გოგო (თითქმის მოუთმენლად): კარგი. მივდივართ?

ვაჟიშვილი: კი, წავიდეთ.

დედა: არაფერს შეჭამთ?

ვაჟიშვილი (თან გოგოს უყურებს): შენ...

გოგო (ცრვად): არა, გმადლობთ. რესტორანში გვირჩევენია ვახშმობა.

დედა: რომელ რესტორანში?

გოგო (თითქოს მისთვის ნერწყვის მოსადენად): ზღვის პროდუქტების მენიუთი.

დედა: ზღვის პროდუქტების მენიუთი?

გოგო: დიახ.

დედა: და სასმელს რას აიღებთ?

გოგო: ალბათ, კარგ ღვინოს.

ვაჟიშვილი: კი.

დედა: თეთრს?

გოგო: აუცილებლად.

დედა: და მე? მე რა გავაკეთო?

გოგო: თქვენ აქ დარჩებით, სრულიად მარტო... კექსს შეჭამთ. (*ხანმოკლე პაუზა*). ჩვენ კი, რესტორნის შემდეგ სიყვარულით დავკავდებით. ეს ისეთი ძლიერი იქნება, ისეთი კარგი. ის მე მაგიდაზე დამაწვენს, მისაღებ ოთახში და ხის მაგიდის ზედაპირი ჩემი სხეულის ბიძგს იგრძნობს (*ნელა და მგრძნობიარედ*): ბუმ... ბუმ... ბუმ... ბუმ...

ხანმოკლე პაუზა. უხერხულობის მომენტი.

ვაჟიშვილი: კარგი, ჩვენ უნდა წავიდეთ, დედა.

გოგო: კი. ერთმანეთისთვის იმდენი რამ გვაქვს სათქმელი.

ვაჟიშვილი: ჰო.

გოგო: და იმდენი რამე - გასაკეთებელი.

ვაჟიშვილი (*სიცილით*): ასეა.

გოგო: მოკლედ, გემშვიდობებით.

დედა: არ გინდათ, ცოტა ხანს კიდევ რომ დარჩეთ?

გოგო: არა. ჯობია, ახლავე წავიდე.

დედა: ეს ღვინის ბოთლი მაქვს... თუ არა და, მარტოს მომიწევს დალევა. მეშინია, თან ჩემი ყველა წამალი არ შევურიო... ეს სახიფათო უნდა იყოს.

გოგო: გმადლობთ, მაგრამ წასვლა გვირჩევნია.

ხანმოკლე პაუზა.

ვაჟიშვილი: მე... გმადლობ, დედა, ყველაფრისთვის. გმადლობ ყველაფრისთვის.

გოგო: დიახ, გმადლობთ. შეიძლება „დედა“ გიწოდოთ?

პასუხის გარეშე.

ვაჟიშვილი: კარგი.

გოგო: ჰო, უკვე გვიანია.

ვაჟიშვილი: უნდა დაგემშვიდობოთ, დედა. (*დედა არაფერს ამბობს*). აბა, კარგად იყავი...

გოგო: კარგად იყავით, „დედა“.

გოგო იღიმის. უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს ბოროტი ღიმილია.

ისინი გადიან. დედა ერთი წუთით სრულიად მარტო რჩება.

სცენა 2

დედა ღვინოს ისხამს და დიდხანს, ნელ-ნელა სვამს. უცებ კარზე ზარს რეკავენ. ის კარის გასაღებად მიდის.

გოგო: გამარჯობა.

დედა: სალამო მშვიდობისა.

გოგო: დიახ, სალამო მშვიდობისა. მე... ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის... მე... ხომ არ გაწუხებთ? (პასუხის გარეშე. ხანმოკლე პაუზა. გოგო ისეთი თავდაჯერებული აღარ არის, როგორც წინა სცენაში). გაწუხებთ?

დედა: ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ გვესმის სიტყვა „შეწუხება“.

ხანმოკლე პაუზა.

გოგო: მე... ნიკოლას ვეძებ. მე... ვიფიქრე, რომ უეჭველად აქ იქნებოდა.

დედა: რა გინდათ?

გოგო: მასთან დალაპარაკება მინდოდა. აქ არ არის? (უპასუხოდ). ვიფიქრე, რომ აუცილებლად თქვენთან იქნებოდა.

დედა: აქ არ არის.

გოგო: აჰ, მართლა? ანუ აქ არ სძინებია? იმის თქმა მინდა... მისი ამბები არ იცით? ყველგან ვეძებ. (პასუხის გარეშე). არ იცით, სად არის?

დედა: გასულია. ვფიქრობ, მოგვიანებით დაბრუნდება.

გოგო: აუცილებლად უნდა დაველაპარაკო. რომ დაველოდო, ხომ არ შეგაწუხებთ?

დედა: მე უნდა წავიდე, იქ...

გოგო: აჰა.

დედა: დიახ. გასასვლელი ვარ. სამწუხაროა. გინდათ, რამე გადავცე?

გოგო: შეგიძლიათ, უთხრათ, რომ დამირეკოს?

დედა: კი, ვეტყვი.

პაუზა. ელოდი არ მიდის.

გოგო: მოგიყვათ? გითხრათ, რომ ვიკამათეთ?

დედა: დიახ, რა თქმა უნდა.

გოგო: ეს ისეთი აბსურდია. *(მისაღებ ოთახში შედის)*. ეს ყველაფერი სრული უაზრობაა. ვერ ვხვდები, ასე რატომ წავიდა. ასე უხეშად. არ შეიძლება, ხელის ერთი მოსმით ყველაფრის დამთავრება. წესიერად არც კი გვილაპარაკია.

დედა: რა გინდათ, ელოდი?

გოგო: მინდა... მინდა, იცოდეს, როგორ ვლელავ მასზე. მთელი ღამე არ მძინებია.

დედა: კი, გეტყობათ.

გოგო: მართლა?

დედა: კი, ცუდად გამოიყურებით. თქვენს ადგილზე, დასაძინებლად წავიდოდი.

გოგო: სანამ არ დევალაპარაკები, ვერ დავიძინებ.

დედა: უკვე გითხარით, რომ აქ არ არის.

გოგო: კი, მაგრამ, რა უნდა გავაკეთო? მითხარით... რა უნდა გავაკეთო?

დედა: უკეთესი იქნებოდა, ცოტა ხნით მშვიდად ყოფნის საშუალებას თუ მისცემდით... და ასევე, კაზა უნდა გამოიცვალოთ.

გოგო: კაზა? რატომ? რა სჭირს ჩემს კაზას?

დედა: შესაბამისად არ წარმოგაჩინო. წითელი კარგია, დიახ, მაგრამ არა - თქვენზე. აი, მე ეს ახლახან ვიყიდე. შეხედეთ. როგორც ფიქრობთ, არ მიხდება?

გოგო: კი, როგორ არა.

დედა: მგონია, რომ მახალგაზრდავებს.

გოგო: შეიძლება, დიახ.

დედა: ვფიქრობ, ამ საღამოს გავისეირნებთ. ცოტა სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთ. იცით, მინდა, რომ ცოტა განიტვირთოს. უკვე თვეებია, უხალისოდაა, თქვენ გამო. მაგრამ ახლა ყველაფერი უკეთაა. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით.

პაუზა. გოგონა მდგომარეობიდან გამოდის.

გოგო: რომ მოვწიო, შეგაწუხებთ?

დედა: ბოდიში?

გოგო: რომ მოვწიო, შეგაწუხებთ?

დედა: კი. *(გოგო სიგარეტს უკიდებს. თითქოს, იწვევს. დედა თვალს ადევნებს)*. უცნაურია, მაგრამ ვილაცას მაგონებთ.

გოგო: ვის?

დედა: სარას.

გოგო: სარას?

დედა: ნიკოლას დას. კი. აი... სახეზე, გამომეტყველებაში.

გოგო: მართლა? მე არ ვიცნობ.

დედა: რაც ცალკე გადავიდა, ხშირად ვეღარ ვხედავთ, რის შედეგადაც თავს დასვენებულად ვგრძნობთ. (პაუზა). კარგი. უკაცრავად, მაგრამ უნდა წავიდე.

გოგო: დიახ.

დედა უახლოვდება, პირიდან სიგარეტს აცლის და ძირს აჭყლეტს.

დედა: არ მინდა, წასვლა გაიძულოთ, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში, მაინც არ ვიცი, რომელ საათზე დაბრუნდება. ალბათ, გვიან.

გოგო ჩანტიდან კონვერტს იღებს.

გოგო: მოკლედ... შეგიძლიათ, ეს გადასცეთ?

დედა: რა?

გოგო: ეს წერილია.

დედა: გინდათ, რომ მას მივცე?

გოგო: თუ შეიძლება.

დედა: კი ბატონო.

გოგო: ეს მნიშვნელოვანია.

დედა: მოგვიანებით გადავცემ.

გოგო: და უთხარით, რომ მის ზარს ველოდები.

დედა: დიახ.

გოგო: ეს ისეთი აბსურდია. რომ იცოდეთ, როგორ ვბრაზობ ჩემს თავზე.

დედა: ეს თუ განუგებებთ, შემიძლია, გითხრათ, რომ ისიც ბრაზობს თქვენზე. (გოგო დანაშაულის გრძნობით თვალებს ძირს ხრის). ამ დილასაც „პატარა მუკნად“ მოგიხსენიებდათ. (პაუზა. თითქოს არც არაფერი თქმულა). კარგი.

გოგო: დიახ. მე წავალ.

დედა: კი, ასე აჯობებს.

გოგო (აბდაუბდად): ბოდიში. გმადლობთ. გმადლობთ და ნახვამდის.

დედა: ნახვამდის... ელოდი.

გოგო: და წერილი არ დაგავიწყდეთ.

ელოდი მიდის. პაუზა. დედა კონვერტს ხსნის და კითხვას იწყებს. შემდეგ წერილს ხევს. სიბნელე.

სცენა 3

დედა და ვაჟიშვილი იმავე პოზიციაში არიან, როგორც III აქტის პირველ სცენაში. იქვე სარკეა, რომელშიც ანას შეუძლია, ჩაიხედოს.

ვაჟიშვილი: კიდევ არ დაურეკავს.

დედა: ჩემი კაბა ნახე?

ვაჟიშვილი: უკვე ორი დღე გავიდა.

დედა: გეყოფა ეს განუწყვეტელი დარდი. შენ ის მიატოვე. რატომ ელოდები მის ზარს?

ვაჟიშვილი: არ ველოდები. უბრალოდ, აღვნიშნე, რომ კიდევ არ დაურეკავს.

დედა: აქ როგორ დარეკავდა? ანუ, რატომ აქ? მისთვის არ გითქვამს, სად მიდიოდი.

ვაჟიშვილი: წესით, უნდა მიმხვდარიყო, რომ აქ მოვიდოდი.

დედა: ჩემი კაბა ნახე?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: გუშინ ვიყიდე. მოგწონს? (*დედა გულუბრყვილო სახით ტრიალებს, პირველი სცენის გამეორება*). აბა, მოგწონს? (*პაუზა*). არ გინდა, ამ საღამოს სადმე გავიდეთ?

ვაჟიშვილი: წელან...

დედა: რა?

ვაჟიშვილი (*ცივად და მოკლედ*): წელან... კი... სანამ მეძინა... კარზე ვიღაც რეკავდა.

დედა: ჰო?

ვაჟიშვილი: კი. ვიღაც რეკავდა. ვინ იყო?

დედა: როდის?

ვაჟიშვილი (*ცივად*): წელან, სანამ მეძინა. ვინ იყო?

დედა: რა? არავინ. (*პაუზა*). მეზობელი იყო.

ვაჟიშვილი: მეზობელი?

დედა: კი, რა იყო? (*ხანმოკლე პაუზა*). შემოიარა. (*პაუზა. ანა არასასიამოვნო სიტუაციაშია*). აბა, რას ფიქრობ? შეგვიძლია, სადმე გავიდეთ, ხომ? ოღონდ არ მითხრა, რომ დაღლილი ხარ. მთელი დღე ძილში გაატარე.

ვაჟიშვილი: მთელი საღამოც მეძინებოდა, ზარის ხმას რომ არ გავვლვიძებინე.

დედა: რა ზარის ხმას?

ვაჟიშვილი (*უნდა, რომ თავისი ტყუილის პირისპირ დააყენოს*): მეზობლის. (*პაუზა*). რატომ არ მომეცი წერილი?

დედა: რა?

ვაჟიშვილი (*აგრესიულად*): რატომ არ მომეცი წერილი?

დედა: რა წერილი? (*პაუზა. დამაბულობის მომენტი. ის ისევ ძველ საუბარს უბრუნდება, თითქოს არც არაფერი ყოფილა*). შეგვეძლო, სადმე სავახშმოდ წავსულიყავით, არა? და შემდეგ, საცეკვაოდაც, კი. ცოტა გავიდეთ. განვიტვირთოთ.

ვაჟიშვილი: არსად გასვლის თავი არ მაქვს.

დედა: მესმის. ეს უბრალოდ იმისთვის შემოგთავაზე... სხვა რამეზე რომ გეფიქრა.

ვაჟიშვილი: არც სხვა რამეზე ფიქრის სურვილი მაქვს.

დედა: აბა, რისი სურვილი გაქვს?

ვაჟიშვილი: მშვიდად ყოფნის სურვილი მაქვს. ძილის სურვილი მაქვს. მინდა, რომ ერთი კვირა გადაბმულად მეძინოს. ან ერთი თვე.

დგება და თავისი საძინებლისკენ მიდის.

დედა: დასაძინებლად მიდიხარ უკვე?

ვაჟიშვილი: კი.

დედა: არ გინდა, რამე შეჭამო?

ვაჟიშვილი: არ მშია.

დედა: არც გწყურია? არ გინდა, საწოლში მოგიტანო რამე?

ვაჟიშვილი: არა. მხოლოდ ძილი მინდა, გესმის?

ის გადის. პაუზა.

დედა: კარგი. მე ალბათ საუზმეს მოვამზადებ. ახლავე გავაკეთებ. მის თასს მაგიდაზე დავდებ, იმ შემთხვევისთვის, თუ დილით ძალიან ადრე გაიღვიძა. კი, ასე გავაკეთებ. საუზმეს მოვუმზადებ, როგორც ადრე.

ამის მაგიერ, ის კიდევ ერთ ჭიქა ღვინოს ისხამს და სვამს. შემოდის მამა ჩემოდნით, ისე, თითქოს გასამგზავრებელ სამზადისში იყო. გამეორება.

მამა: მოკლედ, უნდა წავიდე. არ მინდა, დამაგვიანდეს.

დედა (*განერვიულებული*): ისევ იწყებ გულწრფელი ტონით ჩვენს გაღიზიანებას შენი ტყუილებით! შენი სემინარების ამბებით! არ შეგიძლია, რომ შეეშვა ჩემს იდიოტად წარმოჩენას? არ შეგიძლია, შეწყვიტო ჩემი გასულელება?

მამა (*ძალიან მშვიდად, ძალიან ზოგადი ტონით*): დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი კარგადაა? ცოტა მოწყენილი სახე გაქვს დღეს. (*ხანმოკლე პაუზა. ძალიან ზოგადი ტონით*). რაღაცით უნდა დაკავდე... ინტერესის საგანი უნდა მოძებნო... (*ხანმოკლე პაუზა. ძალიან ზოგადი ტონით*). დაღლილი იქნები, ჯერ ძალიან ადრეა. დასაძინებლად უნდა წახვიდე. (*ხანმოკლე პაუზა*). კარგი. დროა, წავიდე, თუ მინდა, რომ მატარებელს მივასწრო.

დედა: წადი, შენი!.. დაახვიე! გესმის? დაახვიე!

ანა რაღაცას ესვრის. პიერი სწრაფი მოძრაობით აიცილებს.

მამა: დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი კარგადაა?

დედა: არა, არა. არ არის კარგად. არაფერი არ არის კარგად!

მამა: რა გჭირს?

დედა: თავბრუ მესხმის.

პიერი ჩემოდანს დებს.

მამა: რატომ?

დედა: ძილის წამლების გამო.

მამა: რა? რა ძილის წამლები?

დედა: ძალიან ბევრი დავლიე, ერთბაშად. პატარა, ლურჯ აბებთან ერთად და ახლა ასე მგონია, თავი უნდა გამისკდეს... და ალკოჰოლიც. ვერ ვხვდები, რა მემართება.

მამა: არ ინერვიულო. გაგივლის.

დედა: ასე გგონია?

მამა: აბა, რა.

დედა: ეს ყველაფერი მაშინებს.

მამა: არა, არა...

დედა: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვკვდები.

კარზე ზარს რეკავენ.

მამა: გინდა, მე წავიდე?

დედა: არა. მინდა, რომ დარჩე.

მამა: გავაღებ. უეჭველად მეზობელი იქნება. (მიდის და კარს აღებს. კართან გოგო დგას. მამა ისე ელაპარაკება, თითქოს ეს სხვა გოგო იყოს). აჰ, შენ ხარ?

გოგო: მზად ხარ?

მამა: კი.

დედა: ეს ვინ არის?

გოგო (მამას): ჩემოდანი ჩაალაგე?

მამა: კი, მზად არის.

გოგო (მინიშნებით): იმედია, არაფერი დაგვიწყნია...

მამა (ღიმილით): არა...

გოგო: უთხარი?

მამა: რა?

გოგო: უთხარი?

მამა: არა, ჯერ არა. (პაუზა). კარგი. ერთი წუთით. (დედასკენ დგამს ნაბიჯს). მოკლედ, წავედი. არ მინდა, მატარებელმა გამასწროს. მე... ხვდები? ეს მნიშვნელოვანი სემინარია. ჩემთვის „მნიშვნელოვანი საკითხებია“. ვიმედოვნებ, რომ გესმის. „მიკროკრედიტების“ სფეროში „კომპლექსური“ სიტუაციაა. ჩემი წაუსვლელობა არ შეიძლება. ჰო. საერთაშორისო... ეკონომიკური სიტუაციის პირისპირ. ჰო. მოკლედ, კვირამდე.

გოგო სცენაზე შემოდის.

გოგო: ნახვამდის, „დედა“.

ისინი გადიან. დედა თავს ხელებში რგავს. შემოდის ნიკოლა, ჩემოდნით ხელში.

დედა: რას აკეთებ?

ვაჟიშვილი (მოგუდული ხმით): შენი აზრით?

დედა: მიდიხარ? (პასუხის გარეშე). უნდა მიმატოვო? არა. ძალიან გთხოვ... ცოტა ხანს კიდევ დარჩი. შენ არა... ახლა არა.

ვაჟიშვილი (მოგუდული ხმით): არ შემიძლია.

დედა: ძალიან გთხოვ... პატიებას გთხოვ. ასეთი არ უნდა ვყოფილიყავი. ვაღიარებ ჩემს შეცდომებს.

ვაჟიშვილი: ისე ჩანს, თითქოს გინდა, რომ ცხოვრებაში შემიშალო ხელი.

დედა: არა, არა... ჩემო პაწაწინა... პირიქით. ხომ იცი, რომ მიყვარხარ. დარჩი ცოტა ხანს ჩემთან... მასთან მოგვიანებით დაბრუნდი. მხოლოდ კვირამდე დარჩი. მასთან მერე დაბრუნდი... მარტო ყოფნა არ შემიძლია, გესმის? მარტო ყოფნა არ შემიძლია.

ვაჟიშვილი სცენას გადაკვეთს. დედა მის შეჩერებას ცდილობს.

ვაჟიშვილი (აგრესიულად): გეყოფა!

ნიკოლა მას იცილებს და გადის. ანა სულ მარტო რჩება. ის ცრემლებს იწმენდს და ნელ-ნელა უბრუნდება საქმეს - მაგიდას საუზმისთვის ამზადებს. შემდეგ ტელეფონთან მიდის და ნომერს კრეფს. ხმოვან შეტყობინებას გზავნის.

დედა: ალო, ნიკოლა, მე ვარ, დედაშენი... მაინტერესებდა, ჩემი შეტყობინება თუ მიიღე. ბოლო შეტყობინება. არ გიპასუხია. სადილად რატომ არ შემოივლი ხოლმე? კვირას რომ მოსულიყავი მასთან... მოკლედ, შეგიძლიათ, ორივე მოხვიდეთ. კარგი, მოიფიქრე და გამაგებინე. (უცებ კარზე ზარის ხმა ისმის. ანა შეხტება). მოიცადე, დამელოდე...

ის ყურმილს გვერდით გადადებს და კარისკენ მიდის. კართან გოგოა. მას შესაძლოა, ექთნის ფორმა ეცვას. ან - არც ეცვას.

გოგო: ხომ არ გაწუხებთ?

დედა: ახლა რაღა გინდათ? უკვე გითხარით, რომ ის აქ არ არის.

გოგო: ბოდიში?

დედა: ერთი და იმავეს გამეორება რამდენჯერ გჭირდებათ? ის აქ არ არის. ის აქ არ არის. ის აქ არ არის.

ხანმოკლე პაუზა.

გოგო: შეკვეთა მოვიტანე.

დედა: რისი შეკვეთა?

გოგო მისაღები ოთახის შუაში თეთრ საწოლს ათავსებს.

დედა: ეს რა არის?

გოგო: საწოლი.

დედა: კი, საწოლი რომ არის, ვხედავ, მაგრამ ჩემს სახლში რატომ მოიტანეთ? მე უკვე მაქვს ჩემი.

გოგო: ეს საავადმყოფოს საწოლია.

დედა: საავადმყოფოს საწოლი რაში მჭირდება?

გოგო: შეგიძლიათ, მასზე დაწვეთ, მაგალითად.

დედა: კი, მაგრამ, ძილი არ მინდა.

გოგო: თეთრეული სუფთაა.

დედა: რის გაკეთებას მაიძულებთ?

გოგო: დაწეკით.

დედა: არა.

გოგო: ზემდეტად ბევრი წამალი დალიეთ. თან, ალკოჰოლით გაქვთ გაზავებული.

დედა: მე? და მერე, რა? ეს თქვენ რაში გეკითხებათ?

გოგო: სისუსტეს იგრძნობთ.

დედა: რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ვინ გთხოვთ, ამ საწოლის დადგმა ჩემს მისაღებ ოთახში?

გოგო: მეზობელმა.

დედა: მეზობელმა? რომელმა მეზობელმა?

გოგო: თქვენმა კარის მეზობელმა. ძირს გიპოვათ, უგონოდ. გაგიმართლათ, რომ შემთხვევით შემოიარა, თორემ ასე იქნებოდით.

დედა: კი, მაგრამ, ჩემი ქმარი საქმის კურსშია? სად არის ჩემი ქმარი?

გოგო (ანკეტაში იყურება): ზღვის სანაპიროზე გაემგზავრა, ახალგაზრდა ქალთან ერთად. ხვალ დაბრუნდება, „დედის დღის“ აღსანიშნავად. (პაუზა. სცენის ტექნიკური პერსონალი იცინის. გოგო კვლავ აგრძელებს, უფრო შემრიგებლური ტონით). კარგი, მოდით, დაწეკით.

დედა: არა.

გოგო: ძალიან გთხოვთ.

დედა: გითხრით, არა-მეთქი.

გოგო: ნუ მაიძულებთ, რომ...

დედა: რომ, რა?

გოგო: რომ ძალით დაგაწვინოთ.

დედა: ჩემი შვილები მინდა! ჩემი ქმარი მინდა! ჩემი შვილები მინდა!

ანა ტირის და თეთრ საწოლზე წვება. თან ძალიან ჩუმად, თითქმის ბუტბუტით ამბობს: „ჩემი შვილები მინდა. ჩემი სახლი მინდა. ჩემი ქმარი მინდა...“ ამ პროცესის პარალელურად, გოგო სახეზე ეფერება და ლოგინს უშლის.

გოგო (ისეთი ტონით, თითქოს მისი დამშვიდება სურს): ჩუ... ახლა ყველაფერი კარგადაა. ასე... დამშვიდდით, დამშვიდდით. ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ მარტო დაბერდებით. მოწყენილი და მარტო. ჩუ... თქვენ აღარავის აინტერესებთ. ძლიერ ტანჯვას იგრძნობთ და შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. დამშვიდდით... ეს ძალიან მტკივნეული იქნება, ბევრი ტანჯვის გადატანა მოგიწევთ. ჩუ... და ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი კარგად იქნება. აი, ასე... ჩუ... ჩუ...

გოგო დგება, ტელეფონისკენ მიდის და ყურმილს კიდებს.

სიბნელე.

IV აქტი

დედა საწოლში წევს. იქვე, სკამზე ვაჟიშვილი ზის და მას უყურებს. ეს სცენა დიდხანს გრძელდება. შემდეგ ანა თვალებს ახელს.

დედა: რა ხდება?

ვაჟიშვილი: მშვიდად!

დედა: სად ვართ?

ვაჟიშვილი: გეძინა, სანამ... ძალიან ბევრი ძილის წამალი დალიე, დედა. მთელი დღე გეძინა.

დედა: კი, მაგრამ, სად ვართ?

ვაჟიშვილი: ექთანს გავაფრთხილებ. ვეტყვი, რომ გაიღვიძე.

დედა: არა, მოიცადე. მარტო არ დამტოვო.

ვაჟიშვილი: დავბრუნდები.

დედა: არა, ჩემთან დარჩი. სულ ცოტა ხნით...

პაუზა.

ვაჟიშვილი: როგორ ხარ?

დედა: გამოვიღვიძე? თვალებს ვახელ. შეხედე, ფართოდ ვახელ თვალებს!

ვაჟიშვილი: კი, დედა.

დედა: ეს იმის მანიშნებელია, რომ გამოვიღვიძე, არა?

ვაჟიშვილი: კი.

პაუზა.

დედა: აქ რას ვაკეთებ? შენ მომიყვანე აქ? სასწრაფოდ სახლში ვბრუნდებით!

ვაჟიშვილი: ცოტა ხანს კიდევ უნდა დარჩე, დედა.

დედა: აქ შენ მომიყვანე?

ვაჟიშვილი: მისაღებ ოთახში გიპოვეს, ძირს. არ გახსოვს?

დედა: რა? მისაღებ ოთახში?

ვაჟიშვილი: მთლიანი ყუთი, მთელი შეკვრა აბები დალიე. ჩვენი კამათის შემდეგ...

დედა: რა კამათის?

ვაჟიშვილი: არ გახსოვს?

დედა: არა. (პაუზა). წერილის გამო? ამის გამო ვიკამათეთ? (პაუზა). მეგონა, იმ გოგოზე არაფრის გაგონება აღარ გინდოდა...

ხანმოკლე პაუზა.

ვაჟიშვილი: უკეთ ხარ?

დედა: ადგომის თავი არ მაქვს...

ვაჟიშვილი: ბუნებრივია. გარკვეული დროა საჭირო.

პაუზა.

დედა: გმადლობ, რომ დაბრუნდი.

ვაჟიშვილი: სხვა არჩევანი მქონდა?

პაუზა.

დედა: გმულვარ.

ვაჟიშვილი: იმის სათქმელად მოვედი, რომ ისევ იქ ვბრუნდები. მასთან ერთად ვაპირებ ცხოვრებას. მაგრამ ამჯერად უნდა გამიშვა. (პაუზა). თავიდან არ დაიწყო, ეს არც კი იფიქრო, გესმის? (პაუზა). ეს შეუძლებელია. (პაუზა. დედა თვალებს ხუჭავს). თუ არადა იძულებული ვიქნები... (პაუზა). გესმის? სამუდამოდ გავქრები.

ანა აღარ ინძრევს. ვაჟიშვილი უახლოვდება და ხვდება, რომ სძინავს. ცოტა ხანს ელოდება. შემდეგ ის უცებ იღვიძებს.

დედა: ამაში ახალი რა იქნება?

ვაჟიშვილი: გეყოფა.

პაუზა.

დედა: და ახლა რა უნდა ვქნათ?

ვაჟიშვილი: ეს ყველაზე მტკივნეული მომენტია.

დედა: მართლა?

ვაჟიშვილი (ნელა): დროა, გადაგეხვიო. ძლიერად უნდა ჩაგეხუტო.

დედა: ჰო.

ვაჟიშვილი: შემდეგ ხელებს ყელზე შემოგხვევ.

დედა: აჰ?

ვაჟიშვილი (ნელა): კი. და წაგიჭერ. ძალიან ძლიერად წაგიჭერ. და თვალეებში ჩაგხედავ. და შენც ჩამხედავ, მაგრამ არაფერს იტყვი. არც არაფერს მთხოვ. დანებდები, და ეს ისეთი მსუბუქი იქნება, და კარგი იქნება, და შენ არაფერს იტყვი, და შემდეგ ყველაფერი უკეთ იქნება.

პაუზა.

დედა: ჩამეხუტე, ჩემო სიყვარულო.

ნიკოლა ანას გადაეხვევა და შემდეგ, როგორც თქვა, ნელ-ნელა უჭერს ყელში. ანა არ ეწინააღმდეგება. ის იღიმის. ერთმანეთს თვალმოუშორებლად უყურებენ. შემდეგ ანა ითიშება.

პაუზა.

მამა და გოგო შემოდინ. გოგოს ექთნის ფორმა აღარ აცვია.

გოგო: მორჩა?

მამა: კი, მორჩა. მან ეს გააკეთა.

გოგო: მან ეს ჩემთვის გააკეთა.

მამა: მეც ასე მგონია.

გოგო: კარგი საჩუქარია. ვფიქრობ, ვუყვარვარ.

ვაჟიშვილი მათკენ ბრუნდება და ნელი ნაბიჯით გასასვლელისკენ მიდის. გვერდიგვერდ მდგარი მამა და გოგო მიმავალს უყურებენ. ამჯერად ვაჟია ჩემოდნით. ის სცენიდან გადის.

პაუზა.

გოგო უკან გაჰყვება. მამა წამიერად მარტო რჩება. შემდეგ საწოლისკენ მიდის და სკამზე ჯდება მეთვალყურის პოზიციაში - იგივე სურათია, რაც სცენის დასაწყისში (ვაჟიშვილის ადგილზე მამის ჩანაცვლებით).

უცებ დედა კომშარიდან ფხიზლდება. გამეორება.

დედა: რა ხდება?

მამა: ფრთხილად!

დედა: სად ვართ?

მამა: გეძინა, სანამ... ძალიან ბევრი ძილის წამალი დალიე, ძვირფასო. მთელი დღე გეძინა.

დედა: კი, მაგრამ, სად ვართ?

მამა: ექთანს გავაფრთხილებ. ვეტყვი, რომ გაიღვიძე.

დედა: არა, მოიცადე. მარტო არ დამტოვო.

მამა: დავბრუნდები.

დედა: არა, ჩემთან დარჩი.

პაუზა.

მამა: თავს უკეთ გრძნობ?

დედა: აქ რას ვაკეთებ? შენ მომიყვანე აქ?

მამა: კატასტროფულ სიტუაციაში დავბრუნდი, ანა.

დედა: რა კატასტროფაზე ლაპარაკობ?

მამა: ჩემი სემინარიდან დავბრუნდი, ანა. მისაღებ ოთახში გიპოვეს უგონოდ. მეზობელმა გიპოვა. კიდევ კარგი, იქ იყო... (*პაუზა*). რა მოხდა? (*პაუზა*). ჩემს თავზე ვბრაზობ. არ უნდა წავსულიყავი იმ სემინარზე. მაგრამ ხომ იცი, ის...

დედა (*მისთვის ერთადერთ საინტერესო თემას უბრუნდება*): და ნიკოლა?

მამა: რა?

დედა: სად არის?

მამა: შეტყობინება დავუტოვე.

დედა: ჩემთვის კიდევ არ დაურეკავს.

მამა: არა.

დედა: როგორ გგონია, კვირას მოვა?

მამა: კი, აუცილებლად მოვა შენს სანახავად.

დედა: უთხარი? უთხარი, რომ აქ ვიყავი?

მამა: კი.

დედა (*იმედით აღსავსე*): და რა თქვა?

მამას პასუხი არ აქვს. მისახვედრია, რომ მას ვაჟისთვის არ დაურეკავს.

მამა (*სანუგეშებლად*): მოვა. შენს სანახავად მოვა.

დედა: ასე გგონია?

მამა: აბა, რა...

დედა: არა, არ მოვა. ის არასდროს მოდის.

მამა: როგორ არა... არ ინერვიულო. დარწმუნებული ვარ, რომ კვირას მოვა.

დედა: იმედი მაქვს. შეტყობინება გავუგზავნე, რომ სადილად მოსულიყო. კვირას რომ მოვიდეს. ვერ ვხვდები, რატომ არასდროს მაგებინებს თავის ამბებს. თითქოს საერთოდ გაქრა და აღარ არსებობს.

მამა: ხომ იცი, რომ დაკავებულია.

დედა: რით?

მამა: რა ვიცი. ცხოვრებით... (*პაუზა. დამამშვიდებელი ტონით*). მაგრამ შეტყობინება გავუგზავნე. დარწმუნებული ვარ, რომ შენს სანახავად შემოივლის.

დედა: როგორ ფიქრობ, ყველა ვაჟიშვილი ასეთია? იმის თქმა მინდა, ასეთი უმადური...

მამა: ეს ბუნებრივი პროცესია, ასე მგონია.

დედა: ისინი ჩვენი ცხოვრებიდან ქრებიან. მიგვატოვებენ და მერე უკან აღარ ბრუნდებიან.

მამა (ნაზად): ჩუ...

დედა (აღზნებული): და ერთადერთი, რაც გვრჩება, მოგონებაა. მათი საუზმის მოსამზადებლად იმ თითოეული დილაადრიან დაწყებული დღის მოგონება. ჰო. ბუტერბროდები და რძე. შემდეგ სკოლაში მიგყავს. დილის ქუჩებში მიაბიჯებთ ერთმანეთის გვერდიგვერდ და მათი პატარა ზურგჩანთები გიჭირავს, ძალიან რომ არ დაიღალნენ; და სკოლის წინ ისეთი ნდობით გკოცნიან, ისეთი სინაზით. შემდეგ კი ეზოში უჩინარდებიან. სხვა ბავშვებში ჩაიკარგებიან. პატარა ზურგჩანთების მორევში... ჰოდა, შეგიძლია, მითხრა... ეს ყველაფერი რისთვის? საბოლოოდ... ეს ყველაფერი რისთვის?

ხანმოკლე პაუზა. მამას პასუხი არ აქვს.

მამა: ის შენს სანახავად მოვა. (*პაუზა*). მოვა.

პაუზა.

ვაჟიშვილი შემოდის (ან არა), ჩვენებასავით. დედა წამოიწევა. ისინი ერთმანეთს უყურებენ.

პაუზა.

სიბნელე.

დასასრული

